

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი



„სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის
პრაქტიკის ანალიზი საქართველოში“

ნანუკა გაბელაია

„წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თბილისი, 0156, საქართველო

ივლისი 2019

სარჩევი

რეზიუმე4
შესავალი.....6

თავი I. კონკურენციის სამართლის მიზნები და განვითარების ეტაპები საქართველოში

§ რა არის კონკურენციის სამართალი.....9
1.1 ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.....11
1.2 როგორ რეგულირდება საქართველოში „კონკურენციის სამართალი“
.....15

თავი II. კონკურენციის შემზღვეველი ქმედებები და დამცავი მექანიზმები

§ როგორ ხდება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღვევა
.....17
2.1 კონკურენციის მე-10 მუხლით დაწესებული აკრძალვები, სახელმწიფო
ორგანოები მიმართ18
2.2 „კარტელური შეთანხმების“ პრაქტიკის ანალიზი.....20
2.3 „სახელმწიფო დახმარება“, როგორც კონკურენციის შემზღვეველი ქმედება
საქართველოში23
2.4 დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგი
.....26

თავი III. „კონკურენციის სააგენტო, როგორც კონკურენციის პოლიტიკის
განმახორციელებელი ორგანო“

§ 3 კონკურენციის სააგენტოს დებულება	29
3.1 სააგენტოს ძირითადი ფუნქციები	29
თავი IV „კონკურენციის შემზღვეველი პრაქტიკა საქართველოში „	
4 § „ კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პრაქტიკის ანალიზი.....	31
1) შპს „ ოპტიმალ გრუპ+ „ საქმე	32
2) შპს „ ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ის საქმე	35
3) შპს „ინტერტექნიკის „ საქმე	39
4) ა(ა)იპ- „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისთვის“ საქმე	43
5) შპს „ ლიბოს“ საქმე	48
6) სასკოლო ავტობუსების საქმე	50
➤ დაზღვევის საქმები:	
7) უნისონის საქმე №1	52
8) უნისონის საქმე № 2	54
9) უნისონის საქმე №3	57
4.1 კონკურენციის კანონში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები	60
დასკვნა	66

რეზიუმე

სრულყოფილი და კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს, რისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში განვითარდეს კონკურენციის სამართალი.

დღეს-დღეობით ქვეყანაში კონკურენციის სამართლი განვითარების ეტაპზეა, რასაც ხელი შეუწყო და პროცესი დააჩქარა ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ, რადგან მოხდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მეტად დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა, ამიტომაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს“.

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ზოგადად კონკურენციის სამართლის მნიშვნელობაზე. პირველ თავში განხილულია საქართველოში კონკურენციის სამართლის განვითარების ისტორია.

შემდეგ თავში საუბარია კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზე მათ უარყოფით გავლენაზე კონკურენციის სამართალში. ასევე საუბარია იმაზე თუ რა მეთოდებით ხდება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევა ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობაში.

და ბოლო თავში საუბარია საგენტოს პრაქტიკაზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების კუთხით და ასევე იმ ხარვეზებზე რომლებიც ხელს უშლის კონკურენციის სრულყოფილ განვითარებას და მათი აღმოფხვრის გზებზე.

Resume

Development of completed and competitive market promotes economic progress, for which law of competition must be developed in a country.

As of today in our country law of competition is on the stage of development, that was promoted and process was accelerated by Association Agreement made with Euro Union, as law of Georgia “about competition” was more closed to International Standards.

Law of competition is a goal from public bodies’ inadmissibility of competition restriction, so law of Georgia “about competition” establishes the principles of protection from judicial restraint of free and fair competition “.

The importance of law of competition is generally discussed in Master’s work. The history of development of law of competition in Georgia is discussed in the first chapter. In the next chapter competition restricting agreements are discussed, their negative influence in law of competition. also the methods of interference by public bodies in production activity of Economic Agents and in last chapter practice of agency in respect to restrictive actions from public bodies are discussed and also these problems which hinder complete development of competition on the ways of averting of them.

„ ეროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების 204-ე მუხლის შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება , რომ ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას“

ასოცირების ხელშეკრულება მხარეებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ ჯანსაღი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ასევე ხელი შეუშალონ სახელმწიფო ორგანოებს ანტიკონკურენციული ქმედებების განხორციელებაში. რადგან ანტიკონკურენციული ქმედებები ზიანს აყენებს თავისუფალ ბაზარს და მის მონაწილე სუბიექტებს არ აძლევს საშუალებას სავაჭრო ბაზარზე თავისუფლად განახორციელონ საქმიანობა.“¹ (ასოცირების შეთანხმება-2014)

იმისათვის რომ კონკურენციული გარემო შეექმნათ ქვეყანაში, და ეროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინათ, შეიმუშავეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ბაზრის მონაწილეებს თავისუფლად განახორციელონ საქმიანობა და ამით უზრუნველყოს კონკურენტული გარემო არსებობა. ²(ასოცირების შეთანხმება-2014)

დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად საქართველომ დაიწყო ზრუნვა კონკურენციის სამართლის განვითარებაზე თუმცა, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოში რამდენჯერმე შეფერხდა ეს პროცესი.

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ეროკავშირსა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014

² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ეროკავშირსა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 27.06.2014

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) 11/09/2014:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0&fbclid=IwAR21Z2cOoTJFpSIWkG8PbbCuY3SqOzrbzW1vLFrhs1xCWDCow_W9VHQ7DGC-დან

დღესდღეობით უკვე აღარ დაობენ კონკურენციის დადებით შედეგებზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, თუმცა ეს წლების წინ ნაკლებად სარწმუნო იყო.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად ითვალისწინებს, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელის მიზანია თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება.³ (კონსტიტუცია, 23.03.2018)

კერძოდ „კონსტიტუციის მე-6 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, ყველა ეკონომიკურ აგენტს შეუქმნას თანაბარი პირობები და არ დაუშვას მათთვის ადმინისტრაციული ბარიერების შექმნა, რომელიც გამოიწვევს მათი ბაზრიდან განდევნას, რაც ქმნის არაკონკურენტულ და არასამართლიან გარემოს.⁴

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონიც მე-2 მუხლი ხელს უწყობს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციას, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას. მისი მიზანია ეკონომიკურ აგენტებს შეუქმნას ყველა პირობა იმისთვის რომ თავისუფლად მოახერხონ ბაზარზე შესვლა და დისკრიმინაციული ბარიერების გადალახვა.⁵

აღნიშნულ მუხლებს ამყარებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომელიც ეკონომიკურ აგენტების იცავს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვისაგან და მათგან

³ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 23.03.2018
მდგომარეობით ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> ნახვის თარიღი 19.06.2019

⁴ სოფიო მომცელიძე- კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ, 2019 წელი, გვ 588

⁵ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ საქართველო საკონმდებლო მაცნე (ვებგვერდი) 25.05.2012

დისკრიმინაციული ბარიერების დაწესებისგან. ამ მუხლის მიზანია შეზღუდოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას.

I. თავი

კონკურენციის სამართლის განვითარების ეტაპები საქართველოში

§ რა არის კონკურენციის სამართალი?

კონკურენცია არის ბრძოლა, ბაზარზე მოთამაშე სუბიექტებს შორის, რომლებიც იბრძვიან პირველობის მოსაპოვებლად და მომხმარებლის გულის მოსაგებად. სწორედ მომხმარებელია ის ვინც აკეთებს არჩევანს მათ მიერ მოწოდებულ პროდუქტებს/მომსახურებებს შორის. სწორედ მისი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება ბაზრის მოთამაშეთა ბრძოლა პირველობის მოსაპოვებლად.

კონკურენცია არის ახლის შეცნობის პროცესი, რაც აიძულებს ადამიანებს უნებლიედ გახდნენ ამის მონაწილეები. თუ გადავხედავთ კონკურენციის განვითარების ისტორიას ის უძველესი დროიდან არსებობს სამყაროში და ეტაპობრივად განიცდის ევოლუციას.

საბაზრო ძალაუფლების მოპოვება შესაძლებელია კონკურენციის პირობებშიც, როგორც სამართლის სპეციალისტები ამოიბეზნ: „ შეჯიბრი არსებობს იმისთვის, რომ ის მოიგონ“, ეს იმას გულისხმობს, რომ ბაზარზე ყველა ცდილობს მოიგოს მომხმარებლის გული და მოიპოვის ძალაუფლება. ეს ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს, როდესაც სამართლიან და თანაბარკონკურენტულ პირობებში ხდება გამარჯვებულის გამოვლენა.⁶(ჯაფარიძე-2019, 29) Whish, Richard and Bailey, David, Competition Law, 9 th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 9

თუმცა ხშირია შემთხვევები როდესაც ხდება საბაზრო ძალაუფლების კონკურენციის შემზღვეველი ხერხებით მოპოვება, რაც ემიჯნება სამართლიანობის პრინციპს და იწვევს მომხმარებელთა ინტერესების დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში ძალაუფლება ნეგატიური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს და დააზარალოს მომხმარებელთა ინტერესები.(ჯაფარიძე- 2019 წ, გვ 29).⁷

ბაზრის მოთამაშე სუბიექტებს შორის არჩევანს აკეთებს მომხმარებელი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით ესენია: ფასი, ხარისხი, რეპუტაცია რომელსაც ფლობს

⁶ ლიანა ჯაფარიძე-კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები,newvision 2019,29 იხ. Whish, Richard and Bailey, David, Competition Law, 9 th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 9

⁷ ლიანა ჯაფარიძე-კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები, newvison 2019 წ, 29

პროდუქტი/მომსახურება და ამასთან მნიშვნელოვანია სიახლე თუ რა ფორმით მიაწვდის ის მომხმარებელს ამ პროდუქტს/მომსახურებას. უმეტეს შემთხვევაში მომხმარებელის ყურადღებას იპყობს პროდუქტის/მომსახურების სიახლე (ინოვაცია) და ასევე მისი სარგებლიანობა. მოცემულ შემთხვევაში მომხმარებელი უპირატესობას მიანიჭებს იმას ვინც დააკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს, სწორედ ეს წარმოადგენს სამართლიანი ბაზრის პრინციპს გაიმარჯოს საუკეთესო მოთამაშემ ბაზარზე რითაც მოგებული რჩება ორივე მხარე, როგორც მომხმარებელი ისე ეკონომიკური აგენტი. შედეგად მომხმარებელი იღებს საუკეთესო პროდუქტს ან მომსახურებას ხოლო ბაზარზე მუდმივად არის მაღალი ხარისხის პროდუქტი/მომსახურება ხელმისაწვდომ ფასად. (ჯაფარიძე-2016, 7)⁸

რეალობაში კი სხვაგვარად ხდება რადგან ხშირად ირღვევა სამართლიანობის პრინციპი, ბაზრის მონაწილეები სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ წარმატების მოპოვებას და თავის დამკვიდრებას ბაზარზე (ძალაუფლების მოპოვებას). მომხმარებელთა ინტერესებს კი არ ითვალისწინებენ, რითაც რათქმაუნდა ზიანი მომხმარებელს ადგება. კონკურენციის სამართალში ამგვარ ქმედებას მოიხსენიებენ როგორც „ანტიკონკურენციულ ქმედებებს“, რომლის მიზანია ბაზრიდან ისეთი მოთამაშე სუბიექტების გაძევება ან ბაზარზე მათთვის ბარიერების შემქნა, რომლებსაც შეუძლიათ მომხმარებელს შესთავაზონ მისთვის ყველაზე დამაკმაყოფილებელი პროდუქცია. ანტიკონკურენციულ პირობებში კი მომხმარებელი იძულებულია არჩევანი შეაჩეროს იმ პროდუქციაზე რომელიც ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, თუმცა მას არჩევანის გაკეთების საშუალება არ აქვს. საბოლოოდ ვიღებთ არაკონკურენტულ გარემოს, სადაც, პროდუქტი უხარისხოა და ფასები ხარისხთან შუსაბამობაში მოდის.

მსგავს ქმედებასთან საბრძოლველად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია მთელი რიგი ნორმები რომლებიც ხელს უწყობენ ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის

⁸ ლიანა ჯაფარიძე - კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში - მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი 2016 წელი, გვ7

განვითარებას. საქართველოში ასეთი ნორმები მოცემულია როგორც „ კონკურენციის შესახებ „ საქართველო კანონში.⁹(ჯაფარიძე-2019,8)

კონკურენციის სამართლის ძირითადი მიზანია, არ დაუშვას კონკურენციის შეზღუდვა სხვადასხვა ფორმით და დაიცვას თავისუფალი და ეფექტურად მოქმედი ბაზრის სტრუქტურა, ასევე მომხმარებლები. სწორედ ამიტომაც მისი არსებობა ასე მნიშვნელოვანი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის. ¹⁰(კონკურენციის კანონი 21.03.2014)

1.1. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები

საქართველომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, აიღო ვალდებულება შეექმნა მაკონტროლებელი ორგანო რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე. მაკონტროლებელი ორგანოს როლში გვევლინე კონკურენციის სააგენტო, რომელიც კონკურენციის კანონის შესაბამისად უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს ეკონომიკურ აგენტების საქმიანობას და დაადგინოს მათი საქმიანობის კონკურენციის ნორმებთან შესაბამისობა. სააგენტო ასევე აწარმოებს კვლევას სახელმწიფო ორგანოს მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოსავლენად და ასეთი ქმედებების არსებობის შემთხვევაში, ის პასუხისმგებელია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება . (მენაბდიშვილი-2018, 5)¹¹

ევროკავშირთან დაახლოების მიზნით საქართველომ მიიღო ეროვნული კანონმდებლობა და ის დაუახლოვა ევროპულ სტანდარტებს, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოში კონკურენციის განვითარებას. ასოცირების შესახებ

⁹ ლიანა ჯაფარიძე, კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება -2019, 8

¹⁰ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი(სკს), 21.03.2014

¹¹ (სოლომონ მენაბდიშვილი-საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან, თბილისი 2018 წ , გვ5)¹¹

ხელშეკრულების გაფორმებით საქართველოს მიეცა შესაძლებლობა გამხდარიყო ევროკავშირის ბაზრის ნაწილი. (ჯაფარიძე,2016,6)¹²

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად საქართველომ 2012 წლის 8 მაისს მიიღო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელშიც, 2014 წლის 21 მარტს მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი საქართველოს პარლამენტის მიერ, რამაც გამოიწვია სახელწოდების შეცვლაც და მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა. (ბროშურა 2014)¹³

კონკურენციის სამართალი შესაბამისად ქართული ბაზარი საკანონმდებლო წყვეტის პერიოდში ვერ განვითარდა ისე როგორც შეეძლო განვითარებულიყო. თუმცა სხვა ქვეყნები ადრეულ ეტაპზევე მიხვდნენ მის მნიშვნელობას და რათქმაუნდა დღეს ბერვად წინ არიან ჩვენზე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც დამეთანხმებით უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისთვის.

თუ გადავხედავთ საქართველოში კონკურენციის განვითარების ეტაპებს 2014 წლიდან მოყოლებული დღემდე, აშკარად შევამჩნევთ თავსებადობის კუთხით საკმაოდ ბევრია მიღწეული, რომელიც წლების წინ ექვეყნებ იდგა. (ჯაფარიძე-2016,12)¹⁴

მიუხედავად „კონკურენციის შესახებ“ კანონის ევროკავშირის ნორმებთან დაახლოებისა, მათი გამოცდილება რათქმაუნდა კონკურენციის სამართლის განვითარების კუთხით განსხვავებულია. რაზეც მოწმობს ის ფაქტი რომ, ევროკავშირში კონკურენციის სამართლის მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება,

¹² ლიანა ჯაფარიძე-საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში-მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი 2016, 6)

¹³ სიახლეები კონკურენციის სამართალში -ბროშურა შედგენილია კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით, თბილისი 2014 გვ3-4)

¹⁴ ლიანა ჯაფარიძე -საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში - მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები , თბილისი 2016 წელი, გვ12

რადგან კარგად ესმით, რომ კონკურენციის სამართალი ხელს უწყობს ერთიან შიდა ბაზარზე თავისუფალი და შეუზღუდავი ვაჭრობის განვითარებას და, შესაბამისად, ის მკაცრად რეგულირდება. ამას მოწმობს ევროკავშირის პრაქტიკის ანალიზი, რომელმაც აჩვენა რომ ყველაზე კრიზისულ პერიოდშიც კი ევროკავშირი უარს ამბობდა რეგულირების შერბილებაზე.

როგორც ავღნიშნე, ევროკავშირი მიიჩნევს რომ ჯანსაღი კონკურენცია ავითარებს ბაზარს და არ უშინდება არცერთ კრიზისულ სიტუაციას. (ჯაფარიძე-2016,10)¹⁵

საქართველოს ისტორიამ აჩვენა, რომ საქართველოში მხარდევით ყოველთვის არ სარგებლობდა ბაზარზე კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების იდეა. 1990-იანი წლების დასაწყისში, მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის წინამორბედი „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის“ მნიშვნელობის მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ ეტაპზე ეს კანონი უგულბებელყოფილ იქნა, რომელიც იყო ერთადერთი რამ რაც ხელს უწყობდა ბაზრის განვითარებას და ჯანსაღი გარემოს შემქნას ქვეყანაში.

2005 წლიდან, საბაზრო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესში, აღნიშნული კანონმდებლობა გაუქმდა და ამასთან ერთად დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომაც შეწყვიტა ფუნქციონირება.

2012 წლიდან მდგომარეობა ეტაპობრივად სწორდება და განვითარებას განაგრძობს.

შვიდწლიანმა საკანონმდებლო წყვეტამ სერიოზული პრობლემა შეუქმნა ქართულ ბაზარს, უპირველეს ყოვლისა ამ პერიოდმა ხელი შეუშალა სახელმწიფოში ამ დარგის განვითარებას და პოპულარიზაციას. ამ უმოქმედობის შედეგად მივიღეთ, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების ნაცვლად, ახალბედა მარეგულირებელი ორგანო სსიპ კონკურენციის სააგენტო, რომელსაც თავიდან უწევს შეისწავლოს

¹⁵ ლიანა ჯაფარიძე-კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოციირების შეთანხმების კონტექსტში-მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი 2016წ, გვ10

კონკურენციის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემა და ამასთან გაუმკლავდეს იმ სიძნელეებს რაც თანმდევია ამ პროცესის. დღეს საზოგადოებაში ნაკლებად არის ცნობადობა კონკურენციის სამართლის და მისი მარეგულირებელი ორგანოს შესახებ და, შესაბამისად, არც მის ეფექტზე აქვთ წარმოდგენა შექმნილი. რაც შეეხება ცნობადობის ხარისხს ევროკავშირში, დიდი ხანია კონკურენციის სამართალი საზოგადოებაში ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობს. რადგან ევროკავშირმა წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შესძლო ეს მოეპოვებინა, ნდობა საზოგადოების ფართო მასებში და ამასთან არა მარტო ცნობადობის გაზრდა შეძლო, არამედ დაარწმუნა საზოგადოება კონკურენციის სამართლის მნიშვნელობაში. (ჯაფარიძე-2016,11)¹⁶

1.2 როგორ რეგულირდება საქართველოში „კონკურენციის სამართლის ნორმები“?

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში, ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა“.

კანონის ნორმა ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს შექმნან კონკურენტული გარემო და ყველა ეკონომიკურ აგენტს შეუქმნან სათანადო პირობები იმისთვის რომ მათ თავისუფლად მოახერხონ ბაზარზე შესასვლელი ბარიერების დაძლევა.

¹⁶ ლიანა ჯაფარიძე-კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება ასოცირების შეთანხმების კონტექსტში- მიღწევები, პრობლემები, და პერსპექტივები, თბილისი 2016წ, გვ11.

ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს შესაქმენად, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევა, (რაც გულისხმობს ერთი ეკონომიკური აგენტისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭებას) იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას. მოქმედი კანონით „კონკურენციის შესახებ“ კი იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისაგან და კანონის მე-10 მუხლით არეგულირებს ამ საკითხს.

იმ დროიდან როდესაც კონკურენციის სააგენტო შეიმნა დაიწყო აქტიური ზედამხედველობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე. კონკურენციის სააგენტო 2014 წლიდან ახორციელებს ზედამხედველობას და ამ დროის მანძილზე აკვირდებოდა სახელმწიფო ორგანოების ქმედებებს კონკურენციის შეზღუდვის კუთხით. დაკვირვების შედეგად გამოირკვა კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტები. აღნიშნული დებულება კი, წარმოადგენს დამცავ მექანიზმს ეკონომიკური აგენტებისათვის, კერძოდ: იგი იცავს ეკონომიკური აგენტებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათთვის რაიმე სახის შეზღუდვის დაწესებიდან.

კერძოდ, „კანონის მე-10 მუხლი უკრძალავს „სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს ისეთი საგადასახადო ან სხვა სახის შეღავათების დაწესებას ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც მათ კონკურენტებთან შედარებით ანიჭებს უპირატესობას და კრძალავს კონკურენციას შესაბამის ბაზარზე. ამასთან სახელმწიფო ორგანოებს აღნიშნული მუხლით ეკძალებათ ეკონომიკური აგენტებისათვის სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება. რომელიც ასევე კონტროლირდება კონკურენციის სააგენტო მიერ“.(სკს,2014)¹⁷

როგორც ავლნიშნე, კონკურენციის კანონის მე-2 მუხლის მიზანს წარმოადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ხელი შეუწყონ თავისუფალი და ღია ეკონომიკის,

¹⁷ „კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონი, 21.03.2014

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს ბაზრის განსავითარებლად.

კონსტიტუციის მე-6 მუხლი იზიარებს ასევე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მულის მიზანს. შესაბამისად კონსტიტუციის მე-6 მუხლის ხელშეწყობით, სახელმწიფო ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისაგან. სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ეკონომიკური აგენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიიღოს ზომები კონკურენტული ეკონომიკური გარემოს, თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის. სახელმწიფო ჩარევა კი იწვევს ბაზრის სტრუქტურის ცვლილებას და შედეგად ამას მივყავართ ეკონომიკური წნეხისკენ. ამიტომაც საჭიროა კონკურენციის მხარდაჭერა და განვითარება. (საქართველოს საკონსტიტუციო გადაწყვეტილება, №2/11/747)¹⁸

II. თავი

კონკურენციის შეზღუდველი ქმედებები და დამცავი მექანიზმები

§ როგორ ხდება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა?

სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევა არამართო საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ აგენტს არამედ საფრთხის მომტანია მომხმარებლისთვის, რადგან სახელმწიფო მხრიდან შერჩევითი და არათანაბარი მიდგომის პირობებში მომხმარებელს არ

¹⁸ კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ, სოფიო მომცელიძე 588-589გვ) იხ. საქართველოს საკონსტიტუციო გადაწყვეტილება საქმეებზე: №2/11/747, .14/12/2018 პარ- 3 და 7 და №2/11/747, 14/12/2018, პარ-4

ეძლევა საშუალება მიიღოს ხარისხიანი მომსახურება . არაკონკურენტულ გარემოში მომხარებლები შეზღუდულნი არიან მიიღონ მრავალფეროვანი პროდუქცია და იძულებულნი არიან არჩევიან გააკეთონ იმ პროდუქტებზე რომელიც სახელმწიფო მხრიდან პრივილეგიით სარგებლობს.

ასეთი პრივილეგიის მინიჭება რომელიმე ეკონომიკურ აგენტს ეხმარება რომ მოიპოვოს ძალაუფლება და ხელი შეუშლოს ჯანსაღი კონკურენტული პროცესის განვითარებას.

სახელმწიფოს ჩარევის შედეგად მიმდინარეობს უამრავი ცვლილება, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ აგენტებზე, კერძოდ იცვლება ბაზრის სტრუქტურა და უარესდება იმ ეკონომიკური აგენტების მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფოსგან მხარდაჭრით არ სარგებლობენ. ასეთი ქმედება სახელმწიფო მხრიდან ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას.

სწორედ ამიტომ იკრძალება სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი სახის ჩარევა რომელიც ზღუდავს კონკურენციას. სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არათანბარზომიერი დამოკიდებულება, ნებისმიერი სახის ხელოვნური ჩარევა ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს იდეას და რათქმაუნდა უპირველესად უარყოფითად მოქმედებს მომხარებელზე.

სახელმწიფო მიერ ბაზართან მიმართებით, განხორციელებული უკველბლივ ყველა მოქმედება, არ წამოადგენს კონკურენციის შეზღუდვას და სწორედ ამიტომ კანონი არეგულირებს მსგავსი ჩარევებისგან გამონაკლისებს, რომლებიც არც წამოადგენენ კონკურენციის შეზღუდვას და პირიქით ემსახურებიან კონკურენციის განვითარებას. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ რა გამონაკლისებია დაწესებული და ზოგადად როგორ ხდება სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში განვიხილავ ქვემოთ მოცემულ ქვეთავში. (მომცელიძე-2019, 590-591)¹⁹

¹⁹ სოფიო მომცელიძე-კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ, 2019 წ, გვ 590-591

§2.1 კონკურენციის მე-10 მუხლით დაწესებული აკრძალვები

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-10 მუხლი ითვალისწინებს კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების ჩამონათვალს და ეკონომიკურ აგენტებს იცავს მსგავსი ქმედებებისგან კერძოდ:

„კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა“.

კანონის მე-10 მუხლით იკრძალება:

- საწარმოების, კავშირების, ასოციაციების შერწყმა თუ ის აფერხებს კონკურენციის განვითარებას, იწვევს კონკურენციის შესუსტებას და შეზღუდვას;
- ეკონომიკური აგენტებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება რომელს ასევე ზღუდავს კონკურენციას და იწვევს პოტენციური კონკურენტებთან შედარებით უპირატესობის მინიჭებას;
- ეკონომიკური აგენტისათვის სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვა, შეზღუდვა ან სხვაგვარი შეფერხება;
- საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურის შემნა , ან უკვე არსებულისთვის უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

- ისეთი გადაწყვეტილების მიღება რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც ზღუდავთავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას. (სკს-2012წ)²⁰

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დისპოზიციას სააგენტო განმარტავს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვა, რაც შეიძლება გამოიხატოს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე“. (სკს-ბრძანება)²¹

„კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონი მკაცრად არეგულირებს კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებს. შესაბამისად, ასეთი ქმედებების მოკვლევა ევალუება კონკურენციის სააგენტოს, რომელიც, გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, მომავალში მსგავსი ქმედებების პრევენციისათვის. იმისათვის, რომ ქმედება შეირაცხოს კონკურენციის შეზღუდველად, აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა არსებობდეს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, შესაძლებელია გაუფრთხილებელი ქმედებაც შეირაცხოს კონკურენციის კანონის დარღვევად, თუ ამ ქმედებს შედეგად მოჰყვა კონკურენციის შეზღუდვა.(მომცელიძე 2019, 593)²²

კანონის მე-10 მუხლის ხარვეზად შესაძლოა მივიჩნიოთ კანონის დათქმა „გარდა საქართველო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ რომელიც იცავს იმ სუბიექტებს, რომლებმაც მიუხედავ იმისა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება განახორციელეს ვერ ექცვიან ამ დათქმის, შესაბისად კონკურენციის კანონის მოქმედების სფეროში.

²⁰ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“-მიღების თარიღი 08/05/2012, გამოქვეყნების წყარო, თარიღი -25.05.2012, ნახვის თარიღი 19.06.2019

²¹ სსიპ კონკურენციის სააგენტო, №113 ბრძანება, 07/08/15წ, გვ37

²² სოფიო მომცელიძე-კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ, 2019 წ, გვ 593

აღნიშნული დათქმის შინაარსის სიცხადისთვის აუცილებელია განიმარტოს რომელი სამართლებრივი აქტები განეკუთვნება საქართველო კანონმდებლობას და რომელი აქტის შესაბამისად მოქმედება გამორიცხავს სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობას“ (მომცელიძე-2019, 594)²³

§2.2 კარტელური შეთანხმებების პრაქტიკის ანალიზი

საბაზრო ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს ბაზარზე საქონლისა და მოსამხურების ფართო არჩევანს, ხარისხიან და ინოვაციურ პროდუქციას რაც ამლიერებს ეროვნულ ეკონომიკას და შესაბამისად ხდის კონკურენტუნარიანს ეროვნულ ბაზარზე.

პრაქტიკამ აჩვენა რომ ხშირია საბაზრო ჩავარდნები, რასაც ხელს უწყობს ეკონომიკური ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული მოქმედებები, რაც შეუძლებელს ხდის რესურსების ეფექტიან გადანაწილებას.

კარტელური შეთანხმება ითვლება კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებად. კარტელი გულისხმობს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებულ ქმედებას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას. რამდენიმე ქვეყანაში კარტელური შეთანხმებები სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, მაშინ როდესაც ბევრ ქვეყანაში ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები ისჯება ადმინისტრაციული წესით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია „კოლიზიური ტენდერები“ რადგან იგი ეხება სახელმწიფო შესყიდვებს და ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესს.

²³ სოფიო მომცელიძე, კონკურენციის სამართლის მოქმედებასახელმწიფო ორგანოების მიმართ. 2019წ, გვ594

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონიც კრძალავს კარტელურ შეთანხმებას და ამ საკითხს არეგულირებს კანონის მე-7 მუხლის. (ლაფაჩი-2015, 68-69)²⁴

კარტელური საქმიანობა ადვილად განსხორციელებელია ისეთ ბაზარზე სადაც შედარებით მცირე რაოდენობის მსხვილი მწარმოებლებია და მაღალია ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქცია ჰომოგენურია, წარმოების ხარჯი მსგავსია და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება დიდია. ეკონომიკური აგენტების მსგავსი ქმედებას მოყვება პარალელური ფასი ან სხვა საბაზრო საქმიანობა.

ეკონომისტების უმრავლესობა აკრიტიკებს კარტელს მისი უარყოფითი შედეგის გამო და მიიჩნებს რომ კარტელი ზიანს აყენებს მომხარებელს ,რადგან მსგავსი სახის შეთანხმება იწვევს ფასის ზრდას და ხარისხის გაუარესებას. (მენაბდიშვილი,2016, 14-15)²⁵

„კონკურენციის შესახებ“ მე-7 მუხლი ეფუძნება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ს მუხლს, რომლის შესაბამისად:

აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება , რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

აღნიშნული აკრძალვა არაა აბსოლიტური და ითვალისწინებს კანონის მე-9 მუხლის მეშვეობით აკრძალვებიდან გამონაკლის.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე გამონაკლისად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ისეთი შეთანხმებები, რომლებიც აუცილებელია, სახელმწიფო და საზოგადოების

²⁴ ქეთევან ლაფაჩი და ნათია კუტივაძე-ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო- კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, თბილისი 2015, გვ68-69

²⁵ სოლომონ მენაბდიშვილი, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდეციები, თბილისი 2016, გვ14-15

ინტერესების განსახორციელებლად. კერძოდ, უნდა არსებობდეს შემდეგი ოთხი კუმულატიური პირობა.

- 1) ეფექტიანობის ზრდა (ხელს უწყობს წარმოების ეფექტურობას და ამასთან ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს);
- 2) სარგებლიანობა მომხმარებლისათვის (უზრუნველყოფენ მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას);
- 3) შეზღუდვების გარდაუვალობა (აგენტებს არ უწესებენ ისეთ შეზღუდვებს რომლებიც დაკავშირებული არ არის აღნიშნული მიზნების მიღწევასთან);
- 4) კონკურენციის აღკვეთის დაუშვებლობა ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის ნიშნელოვან ნაწილზე);

კონკრეტული გამონაკლისებს ადგენს საქართველოს მთავრობა ნორმატიული აქტით. მათი მტკიცების ტვირთი კი ეკისრებათ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს.²⁶(გველესიანი-2019, 341-342)

დღეს ევროკავშირის კონკურენციის სამართალი არეგულირებს ოთხ ძირითად საკითხს ესენია:

- 1) კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება და შეთანხმებული ქმედება (შეთანხმებული ქმედება სახეზეა როდესაც ბაზრის მოთამაშეები ერთიანდებიან და მათ შორის იღება ისეთი შეთანხმება, რომელიც კონკურენციის საზიანოა);
- 2) ბაზრის მონაწილეთა მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (როდესაც ბაზარზე მოქმედი სუბიექტი აღნიშნულ ძალაუფლებას იყენებს კონკურენციის შესასუსტებლად და ბაზრიდან კონკურენტების განსადგნად);

²⁶ ზურაბ გველესიანი- კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებებიდან გამონაკლისი, თბილისი 2019, გვ341-342

- 3) კონკურენციას ასევე ზიანს აყენებს კონცენტრაციები (ე.წ შერწყმა) რაც ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანებას მოიცავს;
- 4) და ბოლოს არის სახელმწიფო დახმარება (როდესაც სახელმწიფოს ჩარევის შედეგად იზღუდება კონკურენცია ბაზარზე);

§ 2.3. სახელმწიფო დახმარება როგორც კონკურენციის შემზღვეველი ქმედება საქართველოში

სახელმწიფო ორგანოების მხრიდან „კონკურენციის შემზღვეველ ქმედებას“ წარმოადგენს ასევე მათ მიერ გაცემული ე.წ სახელმწიფო დახმარება, რომელიც არღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და რომელიც რეგულირდება კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით რეგლამენტირებული სპეციალური წესებით.

სახელმწიფო დახმარება იწვევს სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების შექმნას და შესაბამისად კონკურენციის არამართლობიერ შეზღუდვას.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-12-15 მუხლები არეგულირებენ სახელმწიფო დახმარების საკითხებს.

კანონის მიზნებიდან გამომდინარე სახელმწიფო დახმარება განმარტებულია როგორც ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს;

- ✓ გადასახადის შემცირება ან გადავადება;
- ✓ ვალის ჩამოწერა, რესტრუქტურისაცია;
- ✓ სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემა;
- ✓ საოპერაციო აქტივების გადაცემა;
- ✓ ფულადი დახმარების გაწევა;
- ✓ მოგების მიღების გარანტიის მიღება;
- ✓ შეღავათების მინიჭებას და სხვა;

კონკურენციის სააგენტო, კანონით მიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად ადგენს, სახელმწიფო დახმარების შესაბამისობას კანონთან და გასცემს შესაბამის დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო დახმარების გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი გამოყოფს სახელმწიფო დახმარების შემდეგ სახეებს:

1. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება უმნიშვნელო ოდენობა (ე.წ. de minimis aid);
2. სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას;
3. სახელმწიფო დახმარება, რომელიც საჭიროებს კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმებას;(ლაფაჩი-2015, 58-59)²⁷

სახელმწიფო დახმარება საქართველოში რეგულირდებოდა 2005 წლიდან.

პირველი რეგულირება მოცემული იყო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ „კანონის მე-8-10 მუხლებში. ეს მუხლები კრძალავდა სახელმწიფო დახმარების გაცემას როგორც კონკურენციის შემაფერხებელ ქმედებას და ადგენდა მარეგულირებლის მხრიდან სახელმწიფო დახმარების შემოწმება-შეთანხმების წესს. თუმცა 2005-2014 წლებში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისადმი ლიბერალურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია აღნიშნული დებულების აღუსრულებლობა.

მდგომარეობა შეიცვალა 2014 წლის 14 აპრილიდან როდესაც შეიმნა სსიპ „კონკურენციის სააგენტო“ და სწორედ მას დაევალა სახელმწიფო დახმარების კონტროლი.(მომცელიძე-2019,630-631)²⁸

²⁷ ქეთვან ლაფაჩი და ნათია კუტივაძე-კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, თბილისი 2015, გვ 58-59

²⁸ სოფიო მომცელიძე, კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, თბილისი 2019, გვ 630-631

უარყოფითთან ერთად სახელმწიფო დახმარებას აქვს დადებითი შედეგებიც, რაც გამოიხატება იმაში რომ, სახელმწიფო დახმარების მეშვეობით შესაძლებელია სახელმწიფო ეკონომიკის იმ მნიშვნელობით გამოყენება, როგორც არის პოლიტიკურად მიზანშეწონილი. ამიტომ ხსენებული დამარება ყველაზე ხშირად პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ემსახურება. მათ შორის შესაძლოა იყოს განათლება, ჯანდაცვა სოციალური დახმარება და ა.შ

სახელმწიფო დახმარების ეფექტიანობაზე მაშინ შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც, სახელმწიფო დახმარება გაცემულია იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც სხვა გზით არ შეეძლო განხორციელებინა ქმედება ე.ი მას გააჩნია მასტიმულირებელი ეფექტი.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, სახელმწიფო დახმარების მეშვეობით კი შესაძლებელია ამ უთანასწორობის აღმოფხვრა, შესაბამისად რიგ შემთხვევებში სახელმწიფო დახმარებას პოზიტიური შედეგი მოაქვს და უარყოფითად არ აისახება საბაზრო ეკონომიკაზე, პირიქით ეხმარება მას განვითარებას.

თუმცა, სახელმწიფო დახმარების გაცემისას ვერ გავუქცევით იმ რისკებს, რომელიც ამ პროცესის თანმდევი და დამოკიდებულია იმ პირზე, ვის სასიკეთოდ გაიცა დახმარება. როგორ და რა მიზნით გამოიყენებს არსებულს სასიკეთოდ თუ საზიანოდ? მნიშვნელოვანია სახელმწიფო დახმარებამ ხელი არ შეუშალოს ჯანსაღ კონკურენტული გარემოს განვითარებას, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი სწორედ არეგულირებს, სახელმწიფო მხრიდან, სახელმწიფო დახმარების გაცემის საკითხებს, რომელშიც პუნქტებად არის ჩამოთვლილი სახელმწიფო დახმარების სახეები, რომელიც შესაძლებელია სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე იქნეს გაცემული. სხვა შემთხვევაში როდესაც ის კონკურენციის დარღვევისკენაა მიმართული, ექცვა კანონის მოქმედების ფარგლებში.

§2.4 დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს, „დომინირებული მდგომარეობის“ ბოროტად გამოყენების კრიტერიუმებს.

ანტიმონოპოლიური კანონდებლობის რეგულირების ქვეშ ექცევა ეკონომიკური აგენტების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს, როგორც დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელ პირობებს, ასევე იმ საქმიანობის ჩამონათვალს, რომელიც კვალიფიცირდება როგორც, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გავრცელებული ფორმებია:

- მტაცებლური, ანუ თვითღირებულებაზე დაბალი ფასის დაწესება ბაზრიდან კონკურენტის გაძევების მიზნით;
- დისკრიმინაციული ფასის დაწესება;
- გადასაყიდი ფასების დადგენა;
- გარიგებაზე დაუსაბუთებელი უარი;
- გაყიდვები დამატებითი/თავსმოხვეული პირობები შეთავაზებით და სხვა.

ეკონომიკური აგენტი, დომინირებული მდგომარეობის მქონედ ითვლება თუ მას დამოუკიდებლად შეუძლია ბაზარზე მოახდინოს ზემოქმედება. კანონმდებლობა კონკურენციის შემზღვეველ ქმედებად მიიჩნევს მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, თვითონ მონოპოლიური მდგომარეობა კი არ წარმოადგენს კონკურენციის შემაფერხებელ გარემოებას. კონკურენციის კანონებით იკრძალება, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არა დომინირებული მდგომარეობის ქონა.

თითქმის ყველა ანტიმონოპოლიური კანონდებლობა ითვალისწინებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ზომებს, სწორედ პირველი აშშ-ს ანტიმონოპოლიური კანონი „შერმანის აქტი“ (1890) უკავშირდებოდა ამ პრობლემის გადაჭრის საკითხს.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლი ითვალისწინებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვებს, რომლის მიხედვით აკრძალულია ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, რადგან მას მნიშვნელოვნად შეუძლია შეზღუდოს ვაჭრობა წევრ სახელმწიფოთა შორის.

იმისათვის რომ ქმედება კანონის რეგულირების სფეროში მოხვდეს, სახეზე უნდა იყოს როგორც, დომინირებული მდგომარეობა ასევე მისი ბოროტად გამოყენების ფაქტები. როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს პრაქტიკის შესაბამისად, კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. (ლაფაჩი-2015, 44-46)²⁹

დომინირებული მდგომარეობის დასადგენად საკმარის არა არის დაკვირვების შედეგად დადგენილ ოფიციალურ სტატისტიკის არსებობა, არამედ საჭიროა მოხდეს სხვადასხვა ხელმისაწვდომი მტკიცებულებების მოძიება, მაგალითად ბაზარზე გავლენის ანალიზის შესაბამისად შეიძლება დავდგინოთ დომინირებული მდგომარეობა ან საბაზრო წილის მეშვეობით შესაძლებელია გამოვავლინოდ დომინირებული მდგომარეობის მქონდე ეკონომიკური აგენტი.

თუმცა, როგორც ზევით ავღნიშნე, დომინირებული მდგომარეობა არ ისჯება კონკურენციის კანონით, თუ არ ხდება, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კი იწვევს

²⁹ ქეთევან ლაფაჩი და ნათია კუტივაძე-კონკურენციის მარგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, თბილისი 2015, გვ. 44-46

კონკურენციული პოლიტიკის დასუსტებას, რასაც ადასტურებს საერთაშორისო პრაქტიკაც.

მართლაც დიდი ზიანის მომტანია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ეკონომიკური აგენტებისთვის და ასევე მომხამრებლებისთვის რადგან , ის აფერხებს და უარყოფით გავლენას ახდენს ისეთ საკითებზე, როგორცაა ფასების რეგულირება და სიახლეების ხელშეწყობა. საბოლოოდ მიზნის მიღწევა კი ფერხდება, როდესაც მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება. კონკურენციის სააგენტო კი ზრუნავს დაიცვას მსგავსი ქმედებებისგან ეკონომიკური აგენტები, გამოავლინოს მსგავსი ფაქტები და მოახდინოს მსგავსი ქმედების პრევენცია.(ასანიძე-2017,26-29)³⁰

III. თავი

კონკურენციის სააგენტო, როგორც კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო

➤ კონკურენციის სააგენტოს დებულება

საქართველოს კონკურენციის სააგენტო შექმნილია „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

კონკურენციის სააგენტოს დებულების შესაბამისად კონკურენციის სააგენტო (შემდგომ სააგენტო) არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში კონკურენციის განვითარებას. ამ მიზნით კონკურენციის სააგენტო იკვლევს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს და ქმედებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. მის მიერ მიღებული

³⁰ნიკა ასანიძე, დომინირებული მდგომარეობის უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე, თბილისი 2017, გვ 26-29

გადაწყვეტილებები სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ეკონომიკური აგენტებისთვის.

სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, მისი საქმიანობა არის გამჭვირვალე და ემსახურება საზოგადოების ინტერესს.(სკს დებულება, 2014)³¹

§3.1 სააგენტოს ძირითადი ფუნქციები

სააგენტოს ფუნქციები განსაზღვრულია კანონის მე-17² მუხლში. ესენია:

- ✓ კონკურენციის სააგენტოს ამოცანაა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკა განახორციელოს და ამ მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების სრულყოფისათვის წინადადებები მოამზადოს.
- ✓ სააგენტო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მონიტორინგს კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი ფაქტების გამოსავლენად.
- ✓ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11¹ მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის შემთხვევაში კონკურენციული ეფექტის სავალდებულო შეფასება, დასკვნის მომზადება და გაცემა;
- ✓ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ამ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და კომპენტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი

³¹ ირაკლი ღარიბაშვილი-საქართველოს მთავრობის დადგენილება №288-, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, 14/04/2014 <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=63> წავის თარიღი 19.06.2019

- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ან სხვა ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკის დაცვის უფლებამოსილების მქონე ორგანოებთან თანამშრომლობა
- ✓ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის, აგრეთვე, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური პრობლემის გადაჭრის მიზნით
- ✓ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებში საზოგადოების გათვითცნობიერება, სააგენტოს საქამიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა; (მენაბდიშვილი-2018, 51)³²

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად სააგენტო აქვს უფლება დამრღვევ სახელმწიფო ორგანოს წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და გასცეს რეკომენდაციები სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებულ კონკურენციის შემზრუდველ ქმედებასთან დაკავშირებით

სააგენტო უფლებამოსილია მოსთხოვოს სახელმწიფო ორგანოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება და იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა მოთხოვნის შესრულება მათ მიერ საკითხი დაყენოს ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

კანონში მითითებული არ არის დარღვევის დადგენის შემთხვევაში სააგენტოს მხრიდან ჯარიმის ან სხვა სახის სანქციების გამოყენების თაობაზე. (მომცელიძე -2019, 600)

IV თავი

³² იხ.სოლომონ მენაბდიშვილი - საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან, 2018 წ , გვ51

კონკურენციის შემზღვეველი პრაქტიკა საქართველოში

კონკურენციის შესახებ „საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პრაქტიკის ანალიზი“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი კრძალავს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შეზღვევას სხვადასხვა ფორმით რომელზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ.

კონკურენციის სააგენტოს განსაკუთრებით ყურადღება აქვს გასამახვილებული კანონის მე-10 მუხლზე რადგან, კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკიდან ნათელია, რომ სწორედ ყველაზე ხშირად კანონის ეს მუხლი ირღვევა.

კონკურენციის სააგენტო 2015 წლიდან აწარმოებს საქმის მოკვლევას კანონის სხვადასხვა ნორმების სავარაუდო დარღვევებზე და უკვე 9 საქმეზე დასრულდა მოკვლევა მე-10 მუხლთან დაკავშირებით.

პირველი მოკვლევა კონკურენციის სააგენტომ დაიწყო 2015 წლის 4 მარტს განცხადების საფუძველზე, რომელიც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს ეხებოდა.

ქვემოთ მოცეულია 2015-2018 წლამდე განხორციელებული 9 საქმის მოკვლევა რომელიც ეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკი მიერ კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტებს.

1) შპს „ოპტიმალ გრუპ +“ საქმე³³

პირველი საქმის მოკვლევა კონკურენციის სააგენტომ დაიწყო შპს „ოპტიმალ გრუპ+“ს განცხადების საფუძველზე რომელიც ეხება სახელმწიფო ტენდერებში

³³ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს (სკს), ბრძანება № 45, 22.04.2015

მონაწილე პირთა მხრიდან „კონკურენციის შესახებ „ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციები სატენდერო დოკუმენტაციით ითხოვდნენ, მხოლოდ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის“ (შემოდგომ ექსპერტიზის ეროვნული ბიური) მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნას.

„კონკურენციის სააგენტო“-მ საქმის სრულყოფილად გამოსაკვლევად მხარეებისგან გამოითხოვა ინფორმაცია, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მათი მეშვეობით ირკვევ რომ, განმცხადებელს №317 განკარგულების საფუძველზე 2014 წლის 17 დეკემბერს მიენიჭა აკრედიტაცია როგორც, „ინსპექტირების ორგანოს“³⁴ (სკს. ბრძანება №45, გვ.5-6)

სააგენტომ ელექტრონული ტენდერის ანალიზის შემდეგ დაადგინა რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ 169 ტენდერიდან 47 ტენდერში , სატენდერო მოთხოვნად ცალსახად იყო მოთხოვნილი „ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა ამასთან .კონკურენციის სააგენტომ ინფორმაცია გამოითხოვა ასევე, აკრედიტაციის ეროვნული ბიუროსაგან, საიდანაც ირკვევა , რომ შპს „ოპტიმალ გრუპი“ გავლილი აქვს აკრედიტაცია ამ სფეროში და ამ სფეროში აკრედიტაციის მქონდე ერთადერთი სუბიექტია. რომელიც ადასტურებს სუბიექტის კომპეტენტურობის საკითხს. სააგენტომ განმარტა რომ „ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, განმცხადებლის სამოქმედო აკრედიტაციის სფეროში აქვს შესაბამისობის შეფასების უფლებამოსილება.

ახსნა-განმარტების სხდომაზე მხარეებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. აღნიშნული საქმის მოკვლევის პროცესში შესყიდვების სააგენტოსაც ეთხოვა საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა. შესაბამისად „შესყიდვების სააგენტომ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომლითაც გაირკვა, რომ

³⁴ სკს, ბრძანება №45, გვ.5-6.

მხარს უჭერდა ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციაში მხოლოდ კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის მოთხოვნა, არ წამოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემებს და შესაბამისად ვერ დაავალდებულებს შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციაში არ ჩადოს რაიმე სახის მოთხოვნა.

ახსნა-განმარტების გაკეთბა ეთხოვათ ასევე „ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ წარმომადგენლებს, რომლიდანაც ირკვევა რომ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ განმცხადებლის მოთხოვნას, რადგან ეჭვსქვეშ აყენებენ განმცხადებლის კონპეტენტურობას, ვინაიდიან მიიჩნევენ რომ ექსპერტიზა და ინსპექტირება განსხვავდება ერთამენთისგან.

ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ახსნა-განმარტებისას განმარტა ინპექტირების და ექსპერტიზის ცნებები , სადაც ყურადღება გაამახვილა რომ შპს „ოპტიმალ გრუპ+“ წარმომადგენს ინსპექტირების ორგანოს, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს რაიმე ქმედების შეუსაბამობა, მაშინ როდესაც ექსპერტიზა გულისხმობს საქმის გარემოებებს შორის კავშირის ანალიზს.

როგორც გამოიკვია „ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ წარმომადგენს საექსპერტო დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო ISO:17025- სტანდარტი, რომელიც გულისხმობს საგამოცდო ლაბორატორიული მომსახურების განხორციელების უფლებას და რომელიც სატენდერო მოთხოვნებშია გათვალისწინებული. „ექსპერტიზი ეროვნულმა ბიურომ“ აღნიშნა, რომ შპს „ოპტიმალ გრუპ+ს“ არ გააჩნია მსგავსი სტანდარტი, რომელიც აუცილებელ მოთხოვნას წარმომადგენდა.

შპს „ოპტიმალ გრუპ+“ არ დაეთანხმა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და აღნიშნა რომ მართალია მათ აქვთ ISO:17020 სტანდარტი, თუმცა სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება რომლის შესაბამისად უფლება აქვს ისარგებლოს უნივერსიტეტის ლაბორატორიული მომსახურებით . რითაც აღნიშნავს რომ აკმაყოფილებს ISO:17025 სტანდარტს.

საქმის მოკვლევის პროცეში საკუთარი მოსაზრება შემსყიდველმა ორგანიზაციებმაც გააკეთეს, კერძოდ, სსიპ „ბათუმის ბულვარისა და თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობის“ წარმომადგენლებმა, აღნიშნეს, რომ დაწესებული მოთხოვნა გამოწვეული იყო ამ ორგანოსადმი უფრო მაღალი ნდობით და შპს „ოპტიმალ გრუპ +“ ის შესახებ ნაკლები ინფორმირებულობით.

თუმცა მოკვლევის დაწყების თაობაზე სააგენტოსაგან ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოცხადებულ ტენდერში აპირებენ აღარ ჩადონ სატენდერო მოთხოვნად მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გაცემის თაობაზე.³⁵(სკს, ბრძანება № 45, გვ.6-11)

კონკურენციის სააგენტომ განიხილა კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა ექსპერტიზი ეროვნული ბიუროსათვის „კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის კვლევის სამმართველოსა და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის სამმართველოს ლაბორატორიების სსტ ისო/იეკ 17025 სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და მათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.³⁶ (სკს, ბრძანება №45, 7-8

სააგენტომ ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით ,გადაწყვეტილება გამოიტანა და მიიჩნია რომ „შემსყიდველი ორგანიზაციების“ ქმედება წარმოადგენდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონის, მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას, რომელიც გულისხმობს, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მხრიდან მონოპოლიური მდგომარეობის შექმნის ფაქტს“.

სააგენტომ შეფასებისას მიუთითა რომ, სატენდერო დოკუმენტაციაში მხოლოდ ერთი სუბიექტის მითითება ქმნის მონოპოლიურ მდგომარეობას და ამით სხვა ეკონომიკურ აგენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა შევიდნენ ბაზარზე. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი კრძლავს

³⁵ სკს, ბრძანება № 45, გვ.6-11

³⁶ საქართველო კონკურენციის სააგენტოს (სკს), ბრძანება № 45, გვ7-8

მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, შესაბამისად კონკურენციის სააგენტომ აღწერილი საქმე მიიჩნია, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევად და მათ მიმართ გამოსცა რეკომენდაციები.³⁷(სკს, ბრძანება № 45, გვ 30-31)

2) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ის საქმე³⁸

საქმის მოკვლევა კონკურენციის სააგენტომ დაიწყო შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ის განცხადების საფუძველზე.

ფაქტობრივი გარემოებიდან ირკვევა რომ სსიპ-შემოსავლების სამსახურმა ერთ-ერთ კონკურენტ კომპანიას შეუქმნა მონოპოლიური მდგომარეობა, რაც შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-სთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა.

ირკვევა რომ განმცხადებლის ტერიტორიაზე მყოფი კონტეინერების მიმართ არ ხორციელდებოდა საბაჟო პროცედურები, თუ ისინი შეყვანილი არ იქნებოდნენ შპს“ინლენდ კონტეინერ ტერმინალის“ საწყობში(კონკურენტის საწყობში).

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი დაფუძნდა 2005 წელს და ამ პერიოდიდან მოყოლებული ახორციელებს სატერმინალო მომსახურებას, მსგავსად შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალის, თუმცა საბაჟო პროცედურები ხორციელდებოდა კონკურენტის ტერიტორიაზე.

შპს“ სიემეი სიჯეიმ საქართველოს“ რომელიც ტვირთის შემომატანი კომპანიაა, შპს „მეგატრანსმა და ბადრი ახალაძემ მიმართეს რომ საბაჟო პროცედურები მათი კონტეინერების მიმართ განხორციელებულიყო შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთი“-ს ტერიტორიაზე. თუმცა, აღნიშნულთან ფაქტი უყურადღებოდ დატოვეს გაფორმების ეკონომიკურ ზონა-ფოთმა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა.

³⁷საქართველო კონკურენციის სააგენტოს (სკს), ბრძანება № 45, გვ 30-31

³⁸ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება № 40, 30.03.2015

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს“ სიემეი სიჯეიმ საქართველომ“ მიმართა გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთს“ რეაგირების მოთხოვნით. თუმცა მათ წერილში მიუთითეს რომ ავტომობილების ზოგადი დეკლარირებისთვის , დოკუმენტების წარდგენასთან ერთად საჭირო იყო კონტეინერების გახსნა და შესაბამისი პროცედურების განხორციელება, რისი შესრულება ფოთში საბაჟო გამშვები პუნქტის ან თუნდაც ნავსადგურის ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო და უნდა გამოეყენებინათ გაფორმების ეკონომიკურ ზონა.³⁹

მოგვიანებით შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს ტერმინალში შეყვანილი იქნა ავტომობილებით დატვირთული ორი კონტეინერი, გასაბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით, თუმცა სსიპ- მოსავლების სამსახურმა მიუთითა რომ შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთს“, კონტეინერების უნდა წარდგინა გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთმა“ ერთი კონტეინერი გაფორმების მიზნით შეიყვანა გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, რომელიც გეზ-ის თანამშრომელთა მოთხოვნით შეყვანილ იქნა კონკურენტი კომპანიის საწყობში.რის გამოც შპს“ ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთმა“ მიმართა სსიპ-შემოსავლების სამსახურს, მის საწყობში არსებული კონტეინერის მიამრთ დროულად განეხორციელებულიყო საბაჟო პროცედურები მის ტერიტორიაზე და არა მისი კონკურენტის ტერიტორიაზე.

შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთის“ „საჩივარი არ დაკმაყოფილდა სსიპ-შემოსავლების სამსახურის მიერ და არც სასამართლოში.

სსიპ-შემოსავლების სამსახურმა წერილიში აღნიშნა რომ შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალს“ და მას შორის გაფორმებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება და საბაჟო პროცედურებს ახორციელებს მის საწყობის ნაწილში

³⁹საქართველო კონკურენციის სააგენტოს (სკს), ბრძანება №40, გვ 4-5

რადგან ერთ სივრცეში განთავსებული ყველა მომსახურებით კმაყოფილი რჩება მომხმარებელი.

სსიპ-შემოსავლების სასახური მიიჩნევს რომ შპს „ტრანს ექსპედიცია ფოთი“ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს არაჯეროვნად ასრულებს, რადგან მისი საწყობიდან დაკარგულია ძვირადღირებული ნივთი. შპს “ტრანს ექსპედიცია ფოთმა“ განაცხადა , რომ აღნიშნულ გარემოებას კავშირი არ აქვს საქმესთან და აღნიშნულთან დაკავშირებით აღძრულია სისიხლის სამართლის საქმე.

სსიპ -შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მითითებით, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის #9 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუმცა მათი მისამართით არაერთხელ იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

შპს“ ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთმა „ სააგენტოში გამართულ სხდომაზე აღნიშნა, რომ მათთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა რომ ყველა კომპანიას შეეძლოს ასეთ თანაბარ პირობებში განახორციელოს საქმიანობა.

სააგენტოს მიერ გამართულ შეხვედრაზე შპს „ინლენდ კონტეინერის“ დირექტორმა დაასახელა საწყობის უპირატესობები და ასევე აღნიშნა, რომ უზუფრუქტის ხელშეკრულების გარდა, სხვა სახის არანაირი ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული არც შემოსავლების სამსახურთან და არც სხვა უწყებასთან.

სააგენტოში გაართულ სხდომაზე, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწყობის მომსახურებით სარგებლობა და ამიტომ „შემოსავლების სამსახური „ აპირებს

მომავალში, ერთიანი სტრანდარტის დანერგვას, რის მისაღწევად საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.⁴⁰ (სკს, ბრძანება №40, გვ 4-9)

საბოლოოდ აღნიშნული სამექე შეაფასად შემდეგნაირად.

შემოსავლების სამსახურს შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთისთვის“ ჰქონდა გაცემული საბაჟო სანებართვო მოწმობა , რითაც მას ეძლეოდა სასაწყობო საქმიანობის განხორციელების უფლება. შემოსავლების სამსახურს შპს“ ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთისთვის“ არ წაუყენებია რაიმე დამატებითი მოთხოვნა, საწყობის ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაუმჯობესებათან დაკავშირებით, შესაბამისად ზოგადი განმარტების მიცემა განმცხადებელისთვის ტერმინალში არასათნადო პირობების შესახებ არ ამართლებს მისი მისი მხრიდან ერთისთვის უპირატესობის მინიჭების ფაქტს.

სააგენტო დაეთანმხა შემოსავლების სამსახურს ,რომ შპს „ ინლენდ კონტეინერ ტერმინალის“ საწყობში მიმდინარეობს მაღალი ხარისხის მომსახურება და არც მათ მიზანს წარმოადგენს რომ შეფერხდეს საბაჟო პროცედურების განხორციელება. თუმცა , კონკურენციის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე ბაზარზე დაცული უნდა იყო კონკურენტული გარემო, სადაც თანაბარ პირობებში იქნებიან მონაწილე სუბიექტები. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემოსავლების სამსახურმა დაადგინოს ერთიანი პირობა ყველა ეკონომიკური აგენტისათვის.

საბოლოოდ კონკურენციის სააგენტომ შემოსავლების სამსახურის ქმედება მიიჩნია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევად. რაც გამოიხატა შპს „ ტრანს ექსპედიცია ფოთისთვის“ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეშლაში.

ამასთან ერთად შემოსავლების სამსახურის ქმედება იწვევს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევასაც, რაც გამოიხატა საავტომობილო-საკონტეინერო

⁴⁰ სკს ბრძანება № 40, გვ.4-9

ტვირთების სატერმინალო მომსახურების გაწევისას ერთი საწარმოსთვის უპირატესობის მინიჭებაში. (სკს ბრძანება №40, გვ20-22)⁴¹

3) შპს ინტერტექნიკის“ საქმე⁴²

კონკურენციის სააგენტომ შპს „ინტერტექნიკის“ განცხადებლის საფუძველზე დაიწყო საქმის მოკვლევა. საქმე ეხებოდა, სახლემწიფო ტენდერებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტს. კერძოდ, ხაშურის, აბაშისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების გაგეობების მიერ გამოცხადდა ტენდერი მიწის სათხრელი და სახაკავი მანქანების შესაძენად. სატენდერო პირობებში იყო მითითებული მოთხოვნა რომლის შესაბამისად ტექნიკის მწარმოებელი ასევე უნდა ყოფილიყო ტექნიკის მრავისა და გადაცემათა კოლოფის მწარმოებელიც.

აღნიშნული პირობა განმცხადებლის პოზიციით, არაკონკურენტულ გარემოს უქმნიდა ტენდერში მონაწილეობის მსურვებ ეკონომიკურ აგენტებს და შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნტს.

აღნიშნულ ტენდერებში შპს „ინტერტექნიკის“ დისკვალიფიცირებულ იქნა, რადგან მისი წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს, კერძოდ საუბარია იმ მოთხოვნაზე რომლითაც, ტექნიკის მწარმოებელი ამავდროულად უნდა ყოფილიყო გადაცემათა კოლოფის მწარმოებელიც.

გარდა ზემოთაღნიშნული ტენდერებისა კონკურენციის სააგენტომ ყურადღება გამახვილა ააიპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერზე.

⁴¹ სკს, ბრძანება №40, გვ. 20-22

⁴² საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება №113, 07.08.2015

ასპინძის მუნიციპალიტეტი ზემოთ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მიიჩნებს რომ განცხადება არ ასახავს რეალურ ვითარებას, რადგან, მის მიერ გამოცხადებული სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა იმ მახასიათებელს რომელსაც არ ითვალისწინდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი.

ასპინძის მუნიციპალიტეტმა წერილს დაურთო სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განცილვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ინტერტექნიკის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ ქარხანაში აწყობილი ტექნიკა რომელსაც ჰყავს ერთი მწარმოებელი უფრო გამძლეა და რითაც იცავს თავს მოსალოდნელი რისკებისგან.⁴³ (სკს, ბრძანება№ 113, გვ11-12)

დამატებით სატენდერო პირობად განსაზღვრული იყო მინიმუმ ორი სერვის ცენტრის ქონა და 10 ერთეული ტექნიკის იმპორტის გამოცდილება. ამ პირობის დაკმაყოფილება მნიშვნელოვანია რადგან ამ შემთხვევაში მათ მოუწევთ ითანამშრომლონ გამოცდილ კომპანიასთან და შესაბამსად დაცული იქნებიან მოსალოდნელი რისკებისაგნ.

აბაშის მუნიციპალიტეტისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციაც მსგავსი იყო ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი პოზიციის. მსგავსად ამ ორ შემთხვევაშიც არ დაკმაყოფილდა შპს „ინტერტექნიკის“ საჩივარი სატენდერო მოთხოვნათან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა მინიმუმ ორ სერვის ცენტრს და 10 ერთეული ტექნიკის იმპორტის გამოცდილებას.

სსიპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებისას აღნიშნეს რომ, სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მიზნით,

⁴³ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება№ 113, 07.08.2015 გვ11-12

ხორციელდება მონიტორინგი,თუ რამდენად არის დაცული კონკურენციის პრინციპი. გარდა ამისა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს ტენდერის შედეგი თუ მიიჩნევს რომ დაირღვა კონკურენციის პრინციპი. რესურსების რაციონალური ხარჯვიდან გამომდინარე, ყველა შემსყიდველი ცდილობს რომ თვითონ განსაზღვროს სატენდერო პირობა, რას მიეცეს ხარისხიანი პროდუქტის ყიდვის შესაძლებლობას.

კონკურენციის სააგენტომ იმ კითხვის საპასუხოს თუ რა უპირატესობა აქვს ერთ საწარმოში აწყობილ ტექნიკას, მიმართა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს.

მისი პოზიციით: არა აქვს მნიშვნელობა ძრავა და გადაცემათა კოლოფი ერთი სუბიექტის მიერ იქნება წარმოებული თუ სხვადასხვა მწარმოებლის მიერ და მაგალითად მოიყვანა უკრაინა-რუსეთის მაგალითი: რომელშიც უკრაინა რეაქტიულ ძრავებს უმზადებს რუსეთს.

შპს „ინტერტექნიკის“ დირექტორმა განაცხადა რომ დიდი ხანია რაც მუშობს ტექნიკის ბაზარზე და მისი იმპორტირებული ტექნიკა არის მაღალი სტანდარტების შესაბამისი, ამასთან კომპანიას გააჩნია ორი სერვის ცენტრი და მიუხედავად იმისა რომ ტექნიკა თურქეთშია ნაწარმოები, იტალიური და ინგლისური ნაწილებითაა აწყობილი.

საქართველოს რეგიონალური გავითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსაც ეთხოვა საკუთარო პოზიცია დაეფიქსირებინა .დეპარტამენტის წარმომადგენელმა სააგენტოში ახხნა-განმატბიას განაცხადა, რომ ტექნიკის ხარისხის თვლასაზრისით არ არის რელევანტური ის გარემოება რო ტექნიკის მწარმოებელი უნდა იყო აგრეთვე გადაცემათა კოლოფის მწარმოებელიც.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიციით გამოცდილების თვალსაზრისით გარკვეული ბარიერი უნდა არსებობდეს, თუცა რამდენიმე ერთეული ტენიკის რეალიზაციის გამოცდილების მითითება არარელევანტურია ,

რადგან სერვის ცენტრის არსებობა , სპეც ტექნიკის შემთხვევაში უკვე გულისხმობს გამოცდილების ქონას.⁴⁴ (სკს. ბრძანება№-113, გვ13-22)

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას , რომ მოთხოვნები რომელშიც შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არის წაყენებული შესასყიდი პროდუქტის სათანადო ხარისხთან მიმართებით არარელევანტურია, სამივე ტენდერის შემთხვევაში ერთი კომპანიის გამარჯვება მიუთითებს რომ ხსენებული კომპანიისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა კონკურენტული წნეხი, ვინაიდან ის წარმოადგენდა იმ მცირე ნაწილს პრეტენდენტების რომელიც მთლიანად აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.

სააგენტოს შეფასებით შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან კერძოდ, ხაშურის აბაშისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების გამგეობების მხრიდან ადგილი ჰქონდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

რაც შეეხება კიდევ ერთ განხილულ სამქვეს -თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერს, სააგენტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიიჩნევს რომ დაცული არა რსი კონკურენციის კანონმდებლობა, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული უწყება არ წამოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს , მის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული კონკურენციის კანონის მე-10 მუხლი.

კონკურენციის სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილებებით მომავალში მოახდინოს მსგავსი დარღვევების პრევენცია და ხელი შეუწყოს ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, რის გამოც გასცემს

⁴⁴ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება№ 113, 07.08.2015 გვ13-22

კანონის გათვალისწინებულ შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციებს.⁴⁵(სკს ბრძნება №113, 07.08.2015წ, გვ.36-39)

4) ა(ა)იპ - „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისთვის“-საქმე⁴⁶

კონკურენციის სააგენტომ საქმის მოკვლევა დაიწყო ა(ა)იპ „ალიანსი პროგრესული ჯანდაცვისთვის“ განცხადების საფუძველზე.

განცხადების თანახმად ადგილი ჰქონდა კონკურენციის დარღვევის ფაქტს. კერძოდ, რეგულირების სააგენტოს მხრიდან ადგილი ჰქონდა „წამლისა და ფარმაცეპტული საქმიანობისა შესახებ“ საქართველო კანონის (შემდგომში- „წამლის კანონი“) დებულებების კონკურენციის შეზღუდვის კუთხით ინტერპრეტაციას.

განცხადება ეხებოდა ძირითადად საქართველოში ფარმაცეპტულ ი პროდუქციის განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანას. (ე.წ „პარალელური იმპორტი“). გარდა წამლის კანონისა, ეს პროცედურა რეგულირდება საქართველოს შრომის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 23 ოქტომბერს #344 ბრძნებას.

განმცხადებლის მტკიცებით, პარალელური იმპორტის მარეგულირებელი დებულებების ინტერპრეტირებისას, გამოკვეთილია ბიზნესისადმი შრჩევითი დამოკიდებულება, კონკრეტული კომპანიების ლობირება რაც იწვევს „კონკურენციის შესახებ „ საქართველო კანონის მე-10 მუხლის დარღვევას. ამ ფაქტს უკავშირებს განმცხადებელი ფასების ზრდას და მოითხოვს სსიპ-კონკურენციის სააგენტოსაგან რეაგირებია „კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის ფარგელში.

⁴⁵ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს) ,ბრძნება №113, 07.08.2015, გვ 36-39

⁴⁶ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს) ბრძნება №168, 30.09.2016

განმცხადებელმა წარმოადგინდა მტკიცებულება რომლის მეშვეობით ასახელებს ოთხ ძირითად მიზეზს თუ რატომ ეუბნებოდნენ უარს 2014-2015 წლებში კომპანიებს პარალელურ იმპორტზე.⁴⁷ (სკს, ბრძანება№ 168, გვ10-16)

- ✓ პირველი მიზეზი რის გამოც უარს ამბობდნენ იყო განსხვავება შეფუთვა მარკირებაში (უკვე საქართველოს ბაზარზე დაშვებული პროდუქტისაგან განსხვავება , ე.წ შეფუთვაში).
- ✓ მეორე მიზეზი იყო განსხვავება სავაჭრო დასახელებაში
- ✓ მესამე მიზეზი იყო განსხვავება უნსტრუქციაში
- ✓ მეოთხე მიზეზი განსხვავება სავაჭრო ლიცენზიის მფლობელის ე.წ „ფილიალის“ დასახელებაში.

კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა აჩვენა რომ 2014-2015 წლებში რამდენიმე კომპანიას უარი ეთქვა პროდუქტის შემოტანაზე სხვადასხვა მიზეზით.

პრეპარატ ENAP H-სთან მიმართებით რეგულირების სააგენტომ უარი უთხრა შპს „SMART PHARM“-ს აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციაზე პროდუქტ ENAP H -N20-თან მიმართებით. განმცხადებელი უსაფუძვლოდ მიიჩნევს უარის თქმას და უთითებს რომ უარი ეთქვათ ENAP H -N20-იან შეფუთვაზე მაშინ როდესაც განაცხადი გაკეთებული იყო ENAP H –N30-იან შეფუთვაზე.

შპს „ალიანსმა პროგრესული ჯანდაცვისათვის“ კონკურენციის სააგენტოში წარმოადგინა მტკიცებულება რომელიც ეხებოდა შპს „აგრო ფარმა“ საქმეს, სადაც უარი ეტვა პარარელურ იმპორტზე , შემდეგ მედიკამენტებთან მიმართებით. ესენია: BUSCOPAN ,MERONEM, UTROGETAN- სამივეზე უარის მიზეზი იყო ერთი-წარმოდგენილი და უკვე რეგისტრირებული ფარმაცეპტულ პროდუქტებს შორის განსხვავება სავაჭრო ლიცენზიის მფლობელში. პრეპარატი MERONEM-ის

⁴⁷ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება№ 168, 30.09.2016, გვ.10-16

შემთხვევაში, ე.წ პარალელური იმპორტით შემოსატანი პროდუქტი განსხვავდება უკვე რეგისტრირებული პროდუქტისაგან.

რაც შეეხება UTROGESTAN-თან მიმართებით დაფიქსირდა უზუსტობა- კერძოდ არასწორად იყო მითითებული მწარმოებლისა და სავაჭრო ლიცენზიის მფლობელის დასახელება და საქართველოში რეგისტრირებული იმ ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის შემოტანსაც ითხოვდა ე.წ პარალელური იმპორტით განმცხადებელი.

ა(ა)იპ „ალიანსი პროგრესული ჯადაცვისთვის“ განმცხადებელმა, თანდართულ მასალებთან ერთად გადააგზავნა რეგულირებს სააგენტოსა და ერთოვა საკუთარი პოზიციის დასაბუთება.

რეგულირების სააგენტომ აღნიშნა რმ ე.წ პარალელურ იმპორტზე 2015 წლის განმავლობაში უარი ეთქვა მხოლოდ 98 ფარმაცევტულ პროდუქციას, რაც დღსდღობით დაშვებული 16 00-მდე მეტ სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებებთან შედარებით ძალზე მცირეა.

რეგულირების სააგენტო მიიჩნევს რომ მოქმედ კანონმდებლობა და მისი აღსრულების მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს ბაზარზე კონკურენციის არსებობას რადგან, საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციით დაინტერესებული პირები რამდენიმე ათეულია , ცოლო საცალო და საბითუმო რეალიზატორეთა რიცხვი 4 500 აჭარბებს.

2016 წლის 2 თებერვლიდან განცორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები რაც გულისხმობს იმას რომ აღარ იქნება უარის თქმის საფუძველი ე.წ პარალელური იმპორტზე. ორ შემთხვევაში. შეფუთვაში განსხვებულ რაოდენობასთან და განსხვებულ სავაჭრო დასახელებასთან.

კონკურენციის სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში მოიძია ინფორმაცია უარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებებში, სადაც გამოიკვეთა 7 სასამართლო

გადაწყვეტილება , ე.წ პარალელური იმპორტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. ერთ-ერთი იყო გადაწყვეტილება საქმეზე რომელიც ეხებოდა შპს „ ზენიტ პარმა“ მიერ საქართველოს ბაზარზე უკვე დაშვებული ორი ფარმაცეპტულ პროდუქტის , განსხვავება შეფუთვა მარკირებით შემოტანას.

სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით არნიშნა რომ ბაზარზე ეროვნული რეჟიმით უკვე დაშვებულია ე.წ პარალელური იმპორტზე დასაშვები ფარმაცეპტული პროდუქტები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ტაბლეტების რაოდენოპირველადი დამეორეული შეფუთვების მარკირებითა და დიზაინით , მწარმოებლითა და პროდუქტის სხვა სავაწრო ლიცენზიის მფლობელით.

სასამართლომ მიიჩნია რომ დაინტერესებული პირი N344/ნ ბრძანების საფუძველზე ვალდებული იყო დაედასურებინა ფარმაცეპტული შემოსატანი პროდუქტის იდენტურობა, რაც შპს“ზენიტ ფარმამ“ მარეგულირებლის წინაშე ვერ მოახერხა.⁴⁸

რეგულირების სააგენტოს მიერ ე.წ პარალელურ იმპორტზე 2014-2016 წლებში გაცემული უარების სტატისტიკის წარმოების პროცესში , სსიპ-კონკურენციის სააგენტომ იხელმძღვანელა როგორც განმცხადებლის ისე რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით. 16 კომპანიისან , რომელმაც პასუხი გასცა სსიპ-კონკურენციის სააგენტოს კითხვებს მხოლოდ ერთი კომპანია აპელირებდა ისეთ სიტუაციაზე როდესაც მსგავს პირობებში რეგულირების სააგენტომ ერთ სემთხვევაში თანხმობა გასცა, ხოლო მეორეში კი უარი. ეს ეებოდა პრეპარატებს ATARAX-სა და LORIST-ს.

პრეპარატი ATARAX 25 მგ აპკიანი გარსით შპს „ იმპესფარმას“ შემოქონდა პარალელური იმპორტით როლის შემოტანაზეც უარი ეთქვა. უარის თქმის მიზეზი კი იყო შემოსატან და უკვე რეგისტრირებული პრეპარატების ინსტრუქციების

⁴⁸ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება № 168, გვ.16-27

განსხვავებაში. ერთში პრეპარატი დასაშვები იყო 12 თვიდან ასაკის ბავშვებში, ხოლო უკვე რეგისტრირებული პრეპარატის ინსტრუქციის მიხედვით, პრეპარატი არ გამოიყენებოდა 3 წლამდე ასაკის ბავშვებში.

მოგვიანებით სააგენტოს უფროსის ბრძანებით დაშვებულად იქნა გამოცხადებული განსხვავებული შეფუთვა მარკირებით შემოსატანი პრეპარატი ATARAX 25მგ მსგავსი ინსტრუქციით.

ერთ შემთხვევაში უარი ეთქვა შპს „იმპექსფარმას“ ხოლო შპს“ სანდო ფარმას“ ფარმაცეპტული პროდუქტი სააგენტომ დაშვებულად გამოაცხადა.

სტატისტიკური ანალიზიდან გამომდინარე კონკრეტულ მედიკამენტებთან დაკავშირებით საქმეები უმეტეს შემთხვევსი არ იძლევა საფუძველს რომ დადგინდეს „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევა , თუმცა ზოგიერთ შემთხვევსი რეგულირების სააგენტოს გადაწყვეტილებებს ჰქონდა ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი შედეგი.

2015 წლის 24 ივლის რეგულირების სააგენტოში შევიდა შპს“იმპექსფარმა“ს განცხადება ფარმაცეპტული პროდუქტების 25 მგ აპკით შემოგარსული ტაბლეტი №28 და ლორისტა 50 მგ აპკით შემოგარსული ტაბლეტი №28ჩეხეთის ბაზრიდან განსხვავებული შეფუთვა მარკირებით პირველად შემოტანის შეტყობინების შესახებ.

შეტყობინების რეჟიმში წარმოდგენილი ფარმაცეპტული პროდუქტები 6 წლიდან ბავშვებში გამოიყენებოდა, ხოლო უკვე რეგისტრირებულის პროდუქციის ინსტრუქციით იკრძაბოდა 18 წლამდ ბავშვებში. ასევე ინფრომაცია მწარმოებლის შესახებ განსხვავებული იყო. ამის სდეგად უარი ეთქვა შპს“ იმპექსფარმას“ განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანაზე, სს „ჯი პი სი „ -ის მიერ მსგავსი შეფუთვა-მარკირებით კი დასვებულ იქნა ბაზარზე.

სააგენტოს არნიშნული ქმედება შეაფასა როგორც „კონკურენციის კანონის „ მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევად, (სხვა შეღავათების დაწესება) რამაც სს „ჯი პი

სი“ ჩააყენა კონკურენტებთან პრივილეგირებულ მდგომარეობაში. განსხვავება lorista და atarax შემთხვევებს შორის იყო ის რომ atarax-ის შემთხვევაში შპს „სანდო ფარმასთვის“ უფლების მინიჭებით იგი არ ჩამდგარა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვიანიდან როგორც შპს „იმპექფარმა“ ასევე შპს „სანდო ფარმა“ იმპორტს გეგმავდნენ ბელგიიდან ორივეს მწარმოებელი და სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი ერთიდაიგივეა. (სკს, ბრძანება №168, 30.09.2016, გვ. 72-90.)⁴⁹

5) შპს „ლიბოს“ საჩივარი⁵⁰

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შპს „ლიბოს“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო საქმის მოკვლევა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

საჩივრის შიარსიდან ირკვევა რომ, ქალაქ ბათუმის გარე რეკლამების განთავსების ექსკლუზიური უფლებამოსილებას ფლობდა შპს „აჯადი“ (შპს „ლიბოს“ მთავარი კონკურენტი). მასზე ექსკლუზიური ნებართვა გაიცა პირველად 2011 წელს 5 წლის ვადით და შემდეგ აუქციონის ჩატარების გარეშე გახანგრძლივდა 5 წლის ვადით.

შპს „ლიბომ“ საჩივარსი მიუთითა რომ აუქციონის გარეშე შპს „აჯადისთვის“ აქსკლუზიური ნებართვი გაცემა ეწინააღმდეგება კონკურენციის კანონის მე-10 მხულის „ე“ ქვეპუნქტს, რადგან ნებართვის მიცემით ხდება შპს „აჯადისთვის“ ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება.

ასევე საქმესთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა „საქართველო მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა“ სწორედ ეს დეპარტამენტი აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ზედამხედველობას.

⁴⁹ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება № 168, გვ.72-90

⁵⁰ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება 04/273, 06.10.17

შპს „ლიბომ“ განაცხადა რომ შპს „აჯადმა“ დაარღვია კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რასაც შპს „აჯადი“ არ ეთანხმება რადგან მისი ქმედება ექცევა დადგენილ გამონაკლისებში, რომელსაც ითვალისწინებს კონკურენციის კანონი „გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ამკარაა რომ შპს „აჯადისთვის“ ნებართვის გაგრძელება მოხდა სწორედ მოპასუხის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს „აჯადის“ როგორც ზემოთ ვნახეთ ნებართვის საფუძველზე ფაქტიურად უკონკურენტო ძალაუფლება მოიპოვა, იმდროს როდესაც კონკურენტებს ბაზარზე შესვლისთვის ესაჭიროებოდათ შპს „აჯადისაგან“ ამ მოპასუხისაგან თანხმობა.

მოკვლევის მასალებიდან ირკვევა რომ შპს „აჯადისთვის“ ვადის გაგრძელების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ნებართვის სანაცვლოდ შეთავაზებული მაღალი ფასი, როგორც ვხედავთ მოპასუხის ქმედება გამოიწვია შპს „აჯადისთვის“ ექსკლუზიური და უკონკურენტო უფლება-რამაც მონოპოლიური მდგომარეობა შექმნა ბაზარზე.

საგენტომ ამასთან დაკავშირებით მიიჩნია რომ მოპასუხის გადაწყვეტილებით შპს „აჯადი“-ს შეექმნა მონოპოლიური მდგომარეობა . შესაბამისად სააგენტომ გადაწყვიტა ქალქა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ : კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.⁵¹ (სკს-ბრძანება №04/273, გვ3-6, 16-26)

6) სასკოლო ავტობუსების საქმე ⁵²

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა საქმე რომელიც ეხებოდა,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას“ შესაბამისობას, აუდიტის ანგარიშზე დაყრნობით.

⁵¹ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, ბრძანება № 04/273, 12.06.2017, გვ3-6, 16-26, ქ.თბილისი

⁵² საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძანება № 04/167, 23.06.17

აუდიტის ანგარიშის შედეგად გამოვლინდა მოცემული პროგრამის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების „კონკურენციის შესახებ საქართველო კანონის მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ქმედების შეუსაბამო კონკურენციის კანონის მე-10 მუხლთან გამოიხატებოდა იმაში რომ მოთხოვნა რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში იყო წარმოდგენილი ატარებდა ფორმალურ ხასიათს (სატრანსპორტო საშუალების საკუთრების ან იჯარის სესახებ)რა იყო დამაბრკოლებელი ფაქტორი ტენდერის მონაწილეობის მსრველი კომპანიებისთვის . სააგენტომ მოიძია ინფორმაცია სატრანსპორტო მომსახურების პოტენციურად მომწოდებელი 57 კომპანიისგან. სააგენტოს მათ მიმართა კითხვით ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია განსახილვე შესყიდვებთან დაკავშირებით და რა მიზეზით არ იღბდნენ აღნიშნულ შესყიდვებში მონაწილეობას. სააგენტომ დაადგინა რომ უარის თქმის საფუძველი იყო ნაწილი კომპანიებისთვის შესყიდვების მოცულობა და გეოგრაფიული მანძილები. საინტერესოა რომ არც ერთ კომპანია არ დაუსახელებია სატენდერო პირობა დამაბრკოლებელ გარემოებად.

აღსანიშნავია რომ მოთხოვის სატენდერო დოკუმენტაციის ამოღებამ გავლენა ვერ მოახდინა შესყიდვების მონაწილეთა რაოდენობაზე.

სააგენტო დაადგინდა რომ სამინისტროს მიერ დადგენილი სატენდერო პირობა დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. შესყიდვების მონაწილეობის მსურველი აგენტებისათვის. შესაბამისად არ მომხდარა სამინისტროს მხრიდან კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.

ასევე სააგენტომ განიხლა სამინისტროს მხრიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხების ფაქტი. კონკრეტულად საქმე ეხებოდა ერთ-ერთ გამოცხადებულ ტენდერს როემლშიც მონაწილეობდა გადაწყვიტა მოცემულმა

ეკონომიკურმა აგენტამ თუმცა მათ მიერ ელექტრონულ სისტემაში არსებული „კითხვა -პასუხი მოდულის მეშვეობითდასმულ შეკითხვებს გამოხმაურება არ მოჰყოლია სამინისტროს მხრიდან და არც სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები არ გამოსწორებულა. ტენდერში მონაწილე ეკონომიკური აგენტისათვის მონაილეობისაგან თავის სეკავების მიზეზი გახდა ვიანიდან კომპანია ხარვეზიანი მომსახურების შესრულებას საკუთარ თავზე ვერ აიღებდა.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო პასუხი გაეცა ეკონომიკური აგენტისათვის თუმცა ესა რ მომხდარა სმსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან.

კომპანიამ ტენდერში მონაწილეობა სწორედ ამ ფაქტორით ვერ მიირო რადგან ეს ყველაპერი რისკებთან იქნებოდა დაკავშირებული მათი მხრიდან ხარვეზიანი და განუამტებელი ვალდებულებების აღება.

სააგენტომ აღნიშნული ქმედება რომლითაც აგენტს შეძრუდა ტენდერში მონაწილეობის სსამღებლობა, შეაფსა როგორს კონკურენციის კანონის მე10 მუხლის „გ“ ქვეპუქტის დარღვევად.

სააგენტომ თავის გადაწყვეტილებაში გააკეთა განმარტება მოცემული ქვეპუნქტის ფორმულირებასთან დაკავსირებით. კანონის ტქსტსი მოცემული ფრაზა ხარვეზიანია „სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა“ . მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი მოიცავს მეწარმის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების შესამღებლობას.

კანონის ტექტში აღნიშნული ტერმინი „ სამეწარმეო საქმიანობა“ და „დამოუკიდებლობა“ გულისმობს სააგენტს აზრით სამეწარმეო საქმიანიბუს შეზღუდვის ფაქტს და ასევე იზღუდება მეწარმე სუბიექტის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედება. ეს გულისმობს რომ ბაზრის მონაწილე შეეზღუდა უფელბაპ დამოუკიდებლად და საკუთარი სურვილისსამებრ განეხორციელებინა გარკვეული საბაზრო მოქმედება, სააგენტო არ აანალიზებს ფაქტს თუ რადენად წარმატებული იქნებოდა არნშნული მოქმედება ეკონომიკური კუთხით მას

ანტერესებს მხოლოდ მოქმედების სზღუდვის ფაქტი რაც ხდება კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის გამოყენების საფუძველი.

7) უნისონის საქმე №1 ⁵³

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონმა“ სსიპ-კონკურენციის სააგენტოში წარმოადგინა განცხადება სსიპ საქართველოს კონკურენციის კომისიის, შპს „მთის კურორტების განვითარებისა და საქართველოს ფოსტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

სადაზღვევო კომპანიების მიმართ წაყენებული მაკვალიფიცირებელი მოთხოვნები იყო დისკრიმინაციული, რადგან მათი დაკმაყოფილება შეეძლო მხოლოდ რამდენიმე კომპანიას. განმცხადებლის პოზიციით აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული სადაზღვევო კომპანიებზე იყო მორგებული. განმცხადებელმა მიუთითა რომ, აღნიშნული მოთხოვნა პრემიის და გამოცდილებასთან დაკავშირებით დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა რიგი სადაზღვევო კომპანიებისათვის. ასევე მიუთითა რომ საქართველოს ფოსტა და მკგკ სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული 100%-იანი წილით, ხოლო კომისია საჯარო სამართლის იურიდიული პირია და ვრცელდება მასზე კანონის მე-10 მუხლი

კონკურენციის სააგენტომ მოკვლევის მიზნით 11 სადაზღვევო კომპანიისგან მიიღო ინფორმაცია მოცემულ ტენდერთან დაკავშირებით, მათ ეთხოვათ ინფორმაცია ტენდერებში არსებული მოთხოვნები რამდენად შესაბამისობაში მოდიოდა „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან. როგორც აღმოჩნდა, უმეტესობა ტენდერეშო სწორედ სატენდერო მოთხოვნის დაუკმაყოფილების გამო არ მონაწილეობდა. სსიპ-საქართველო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მიაწოდა სააგენტოს ინფორმაცია, სადაზღვევო კომპანიების მიერ

⁵³ საქართველოს კონკურენციის სააგენტო, (სკს)- ბრძნება № 245, 28.12.16

მოზიდული და გამომუშავებული პრემიების შესახებ. ჩამოთვლილი იყო 11 კომპანია რომელიც 2016 წლის მდგომარობით ახორციელებდა ჯამრთელობის დაზღვევას. მოცემული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით საკონსულტაციო შეხვედრაზე კონკურენციის სააგენტომ მოიწვია ორივე მხარე და ასევე ზემოთ მოცემული 11 კომპანია.

სააგენტომ შეაფასა არსებული ვითარება.

განმცხადებელმა აღნიშნა რომ, სადავო ტენდერში ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მდგომარეობის და დაირღვა კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. თუმცა ეს პუნქტი ეხება სახემწიფო ორგანოების მხრიდან ისეთი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობას, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას. სააგენტოს შეფასებით აღნიშნულიდან გამომდინარე არ დაფიქსირებულა მონოპოლიური მდგომარეობის არსებობა რადგან სამივე ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა ერთზე მეტი იყო და კონკრეტული კომპანიაზე გათვლა არ გაუკეთებიათ. შესაბამისად ქმედება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება.

სააგენტომ აღნიშნა რომ განსახილველ შემთხვევაში ქმედებების კვალიფიკაცია მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით შესაძლებელია, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო საქმიანობის და დამოუკიდებლობის აკრძალვა/შეჩერება სხვაგვარად შეფერხება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბიექტების.

განხილულ ტენდერებში კონკურენციის საწინააღმდეგო პირობების დაწესება წარმოადგენს მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებადქმედებას, რადგან სახეზეა ბაზარზე მოქმედი რიგირ სუბიექტებისათვის სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა. (სკს ბრძნება- №245, 3-15, 78-81)⁵⁴

⁵⁴ (სსიპ კონკურენციის სააგენტო, ბრძნება № 245, 28.12.2016, გვ3-15, 78-81)

8) უნისონის საქმე №2 ⁵⁵

2018 წლის 18 აპრლს სს „სადაზღვეო კომპანია“ უნისონმა, საჩივარი შეიტანა კონკურენციის სააგენტოში. საქმე ეხებოდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

საჩივრის შინაარსიდან ირკვევა რომ გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში, იმპერატიულად არის მოთხოვნილი მხოლოდ საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების წარდგენა. რის შედეგადაც, ტენდერში გამარჯვებულმა რამდენიმე პრინციპალმა, ვერ გააგრძელა სს „სადაზღვეო კომპანია უნისონთან“ ურთიერთობა. მომჩივანმა საჩივარში მიუთითა რომ მსგავსი ქმედება, იწვევს მომხმარებლის გადინებას სადაზღვეო სექტორიდ, საბანკო სექტორში, რის შედეგად მათ საქმიანობას ექმნება საფრთხე.

სადაზღვეო კომპანიებს „საქართველო სამოქალაქო კოდექსის“ 879 და 881 მუხლით მინიჭებული აქვთ საბანკო გარანტიების გაცემის უფლება. ხოლო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში იმპერატიულად მოთხოვნილი, მხოლოდ საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, წარმოადგენს არასამართლიან და დისკრიმინაციულ მიდგომას, რითაც ხდება მომხმარებლის გადინება, სადაზღვეო სექტორიდან საბანკო სექტორში. ⁵⁶

⁵⁵ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს)-ბრძანება № 04/216, 07.08.2018

⁵⁶ სსკ-879 მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ძალით, ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვეო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას, გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

სსკ-881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებისაგან, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის გარანტია გაცემული, მასინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

მოპასუხე მხარის განმარტებით „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ფულადი სახსრების, რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-7 მუხლში იმეპარატიულადაა განსაზღვრული შემსყიდველის ვალდებულება, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, შესყიდვები განახორციელოს, რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების სრული დაცვით.

ასევე აღნიშნულია რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, შემსყიდველი, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას იყენებს საბანკო გარანტიასაც. წინასწარი ანგარისწორებათან მიმართებაში, საბანკო გარანტია წამოადგენს ფინანსურ დოკუმენტს, რომელიც გამოიყენება წინასწარ გაცემული თანხის და არა ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

წინასწარი ანგარისწორებისას, საბანკო გარანტიაში აღნიშნული თანხა გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დეპარტამენტის პასუხისმგებლობით, შესაბამისად დეპარტამენტი თვლის რომ ვალდებულია დაადგინოს ისეთი სატენდერო პირობა რომელიც დაიცავს საბიუჯეტო სახსრებს.

გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული რვავე სატენდერო პირობის შესაბამისად, შესყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული/გასცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

საააგენტომ მიიჩნია რომ განსახილველი სადავო სატენდერო პირობა შესაძლებელია შეფასდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევად. რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძლვა შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება,

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁵⁷ (კონკურენციის სააგენტო 21.03.2014)

სადავო სატენდერო პირობის თანახმად, საავტომობილოს გზების დეპარტამენტის მიერ მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების წამოდგენა კიდევ უფრო ავიწროვებს სსკ-ს 879 მუხლში მოცემულ სუბიექტთა წრეს.⁵⁸(სსკ,22.12.2018) აღნიშნულდიან გამომდინარე სააგენტომ მიიჩნია რომ, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ანგარისწორებისას გამოყენებული, საბანკო გარანტიებით მომსახურების ბაზრიდან სადაზღვევო კომპანიების გამორიცხვა, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას.

სააგენტოს შეფასებით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ადრესატებს წარმოადგენენ: სახელმწიფო ხელსიუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამისად მოპასუხე ითვლება კანონის მე-10 მუხლის ადრესატად.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, წინასწარი ანგარისწორების შემთხვევაში, მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტიები მოთხოვნა კი წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

გამონაკლის წარმოადგენს, დონორის სახსრებით ჩატარებული ტენდერები, სადაც შემსყიდველი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხი შეზღუდულია და სატენდერო პირობების განსაზღვრა ხდება დონორი ორგანიზაციების მხრიდან.(სკს-ბრძანება №04/216, 3-10, 22-26, 46)⁵⁹

⁵⁷ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 21.03.2014, მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

⁵⁸ საქართველოს კანონი-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997, კონსოლიდირებული პუბლიკაცია 22.12.2018, 879-ე მუხლი, საბანკო გარანტია

⁵⁹ საქართველოს კონკურენციის სააგენტო(სკს), ბრძანება №04/216, 07/08/2018, გვ3-10, 22-26, 46

9) უნისონის სამეჯე №3⁶⁰

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (სკს) დაიწყო საქმის მოკვლევა 2016 წლის 22 ნოემბერს, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ წარმოდგენილი საჩივრის შესაბამისად. საჩივრის მიხედვით ირკვევა რომ სახელმწიფო შესყიდვებში, მოთხოვნილი იყო მხოლოდ, ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტიები, , რითაც სადაზღვევო კომპანიებისგან გასწავებით, საბანკო დაწესებულებები უპირატესობით სარგებლობდნენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 879-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტიის გამცემი შეიძლება იყოს, როგორც საბანკო დაწესებულებები, ისე სადაზღვევოს კომპანიები.

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონ“-მა საჩივარში მიუთითა რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განასხვავებდა ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს ერთმანეთისგან და საბანკო გარანტიის გაცემის უფლება ორივეს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული⁶¹. (სსკ, 879-ე მუხლი)

მომჩივნის პიზიციით ხელსეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის უფლება აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მოთხოვნა, ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

ანალოგიური შინაარსის წერილი წარმოადგინა სააგენტოში თანამომჩივანმა (სს არდი დაზრვევამ). რის შედეგად 2016 წლის 22 ნოემბერს №213 ბრძნების საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევა, გაფართოვდა 2017 წლის 8 თებერვლის №04/35 ბრძნებით, რის შედეგადაც სააგენტომ წარმოების სრულყოფილად

⁶⁰ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს), ბრძნება№ 04/248, 05.09.2017

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ)-879-ე მუხლი

ჩატარებისთვის გამოითხოვა ინფორმაცია ორივე მხარისაგან, რის შემდეგ კონკურენციის სააგენტომ გააკეთა საბოლოო შეფასება.

საქმის მოკვლევა დაწყებულია საჩივრის საფუძველზე, კონკურენციის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევა განსხვავდება პროცედურულად განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევისგან.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად განმცხადებელი მხარედ არ განიხილება, განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებისას მოკვლევის მხარე თავად სააგენტოა. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ეს უკანასკნელი თავად განსაზღვრავს მოპასუხე მხარეს და აძლევს მას პოზიციის წარმოდგენის საშუალებას.⁶² (სკს-21.03.2014)

სააგენტოს შეუძლია განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები დასვას, რომ მიიღოს დარღვევის გამოვლენისთვის საჭირო ინფორმაცია. ამის საფუძველს იძლევა ის რომ კონკურენციის სააგენტო ირგებს როგორც მხარის, ისე მარეგულირებლის როლს. შედარებისთვის საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში სააგენტო მხოლოდ მარეგულირებლის როლშია, ხოლო მხარეებს მომჩივანი და მოპასუხე წარმოადგენს .

საჩივრის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოდ დარღვევის ფაქტის დადგენა ხორციელდება, კონკრეტული მოპასუხეების მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ ტენდერებში. მოპასუხე წრე და შესაბამისად ტენდერებში განსაზღვრული მომჩივნისა და თანამომჩივნის მიერ, კონკურენციის სააგენტომ ანალიზის საფუძველზე საჩივრის ფარგლებში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის დასადგენად, განიხილა რიგი

⁶² „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (სკს)- 22-ე და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი

საკითხები. სახეზე იყო თუ არა სახელმწიფო ტენდერში შემსყიდველის მხრიდან, მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოთხოვნა, მე-10 მუხლის ობიექტად დაკვალიფიცირებული ქმედება.

მე-10 მუხლის რომელი ქვეპუნქტით უნდა შეფასდეს მომჩივნისა და თანამომჩივნის პრობლემატურად მიჩნეული ქმედები კონკურენციული ეფექტი? სახეზეა თუ არა მე-10 მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტით აკრძალული ქმედების განხორციელება საჩივარში, საჩივრის დაზუსტებისა და თანამომჩივნის შესაბამის წერილში მითითებული ტენდერებისას? როგორ უნდა მოხდეს დონორის დაფინანსებით გამოცხადებულ ტენდერებში ჩადებული სადავო პირობის შეფასება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

შპს „საქართველოს გზის ტრანსპორტირების კომპანია“ 2016 წლის 9 ნოემბრის წერილობით პოზიციაში მიუთითა რომ, მასზე როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი არ ვრცელდება. მსგავსი პოზიცია დააფიქსირა შპს „საქართველოს მელიორაციამაც“ 2017 წლის 4 იანვრის წერილში.

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხისგან მიღებული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა რომ, ორივე კომპანია წარმოადგენს სახელწმიფოს 100%-იან მფლოფელობაში მყოფ კერძო საწარმოს, რომელთა მმართველ პარტნიორებს ერთ შემთხვევაში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო მეორე შემთხვევაში, ენერგეტიკის სამინისტრო.

სააგენტო აღნიშნავს რომ ფუნქციური თვალსაზრისით უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრე, აღნიშნული შპს-ების როგორც მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის

იურიდიული პირების, ხოლო მეორე მხრივ, მათი მმართველი პარტნიორი სამინისტროების საქმიანობა.

სამინისტროები, წარმოადგენენ სახელმწიფო ხელსიუფლების ორგანოებს, რაც შეეხება მათ ზედამხედველობაში მყოფი შპს-ები, მიუხედავად მათი მხრიდან კონტროლის გარკვეული ელემენტებისა, წარმოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ხსენებული კომპანიები არ წარმოადგენენ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარეგულირებულ სუბიექტებს. (სკს-ბრძნება №04/243 , 05.09.17)⁶³

4.1 „კონკურენციის კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზები“

როგორც კვლევამ აჩვენა, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ხშირია შემთხვევა როდესაც ხდება ბაზარზე, კონკურენციის შეზღუდვა. თუმცა მსგავსი ჩარევისგან თავის დასაცავად შემუშავებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონი, რომელიც ებრძვის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების განხორციელებას, ამასთან ერთად ახდენს სახელმწიფო დახმარების რეგულირებას და საქართველოს კანონმდებლობის კონკურენციული ეფექტის კონტროლს.

ხსენებული აკრძალვა მოცემულია სახელმწიფო ორგანოების მიმართ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში, რომლითაც კონკურენციის შემზღუდველად ითვლება ყველა ის ქმედება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს, სხვა ეკონომიკურ

⁶³ საქართველოს კონკურენციის სააგენტო (სკს) ბრძნება 04/243 , 05.09.17

აგენტებთან შედარებით. რითაც ბაზრის მონაწილე სუბიექტებისთვის ქმნის არათანაბარ კონკურენტულ გარემოს.⁶⁴ (სკს, 21.03.2014)

თუმცა პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა რომ საჭიროა კონკურენციის ეფექტური შედეგის მისაღწევად, გაფართოვდეს მე-10 მუხლით რეგულირებადი სუბიექტთა წრე.⁶⁵(სკს,ბრძნება№ 245. 81)

როგორც სააგენტოს ფუნქციებიდან შევიტყვეთ კონკურენციის სააგენტოს დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გაცემს გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის სახით. მხოლოდ სარეკომენდაციო ფუნქცია გულისხმობს რომ კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი, რაც სახელმწიფო ორგანოებს უპირატესობას ანიჭებს. საჭიროა კონკურენციის სააგენტო აღიჭურვოს მეტი უფლებამოსილებით, რის შედეგადაც ექნება შესაძლებლობა თვითონ დაუწესოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დამრღვევებს შესაბამისი სანქცია.

კანონის ხარვეზს წარმოადგენს აგრეთვე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶⁶(სკს,21.02.14)

აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, თუ მოხდება მე-10 მუხლის სუბიექტის მიერ კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების განხორციელება და მათი ქმედება ექცევა დისკრეციის ფარგლებში, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება როგორც კონკურენციის შემზღვეველად.

როგორც ვხედავთ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ანალიზიდან ირკვევა, კანონი უშვებს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მიერ კონკურენციის შეზღუდვის ალაბათობას. რაც გამოიხატება ფრაზით, „გარდა

⁶⁴ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 21.03.2014

⁶⁵ საქართველოს კონკურენციის სააგენტო(სკს), ბრძნება№ 245. 81

⁶⁶ „ კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი-21.03.2014 , მე-10 მუხლის „დათქმა“

კანონდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ რომელიც როგორც ვნახეთ, გულისმობს ისეთ ქმედებას როდესაც, მიუხედავად კონკურენციის შემზღვეველი ქმედების არსებობისა, ის მაინც ვერ მიიჩნევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შემზღვეველ ქმედებად.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტშიც არსებობს გარკვეული სახის ხარვეზი „სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის“ შეზღუდვასთან მიმართებით, რომელიც კონკურენციის სააგენტომ რეკომენდაციის სახით გამოსცა, რომ საჭიროა მოხდეს ამ ხარვეზის გამოსწორება.⁶⁷ (სკს, ბრძანება №245.82)

აღსანიშნავია რომ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სამეწარმეო საქმიანობის როგორც ცალკე აღებული ფენომენის შეზღუდვას ან შეფერხებას უშვებს. ასეთ შემთხვევაში კონკურენციის სააგენტოს შეუძლია გასცეს სავალდებულო რეკომენდაციების მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა იგი ვერ დააფიქსირებს კონკურენციის შეზღუდვის ფაქტს როგორც „კონკურენციის კანონის“ მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას.

ასევე სააგენტოს ყურადღება გამახვილებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე სადაც კონკრეტულად ყურადღება გამახვილებულია სიტყვათა შეთანხმებაზე „სხვა შეღავათი“ რაც ქმნის ბუნდოვანებას, ვიანიდან ნორმა არ აკონკრეტებს „სხვა შეღავათად“ რა შეიძლება იყო მიჩნეული. შესაძლებელია კანონმდებელი „სხვა შეღავათში“ გულისხმობდეს როგორც მატერიალურ ისე არამატერიალურ შეღავათს, ან ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური აგენტისთვის უფლების მინიჭება.

⁶⁷ საქართველო კონკურენციის სააგენტო, ბრძანება №245. 28.12.2016, გვ 82

ხარვეზი გამოიკვეთა ვადებთან დაკავშირებით, საუბარია შემჭიდროვებულ ვადებზე რომელსაც ითვალისწინებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრაციის დროს არის თვალშისაცემი.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებ 1 თვიან ვადას, რომელიც უნდა იქნეს დაცული კონკურენციის სააგენტოს მიერ და შესაძლებელია საქმის სირთულიდან გამომდინარე გაგრძელდეს ორი კვირით. კონცენტრაციის სირთულიდან გამომდინარე კი აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის საქმის გამოსაკვლევად.⁶⁸

საქართველოსგან განსხვავებით ევროკავშირი შეფასების ორ ფაზას ითვალისწინებს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ფაზა. კონცენტრაციის შეფასების ერთი ფაზის ფარგლებში ვერ ხერხდება კონკურენციის სააგენტოს მიერ, საწყის ეტაპზე გაიმიჯვნა ბაზრის პრობლემური და უპრობლემო კონცენტრაციების.

კანონის ხარვეზად ასევე შესაძლოა მივიჩნიოთ, ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული ნორმები, რომელშიც აღსანიშნავია კანონმდებლობის ის დებულება, რომელიც ინფორმაციის მიწოდების ადრესატს უტოვებს შესაძლებლობას თვითონ გადაწყვიტოს ინფორმაციის მიწოდების ან არმიწოდების საკითი.

პრაქტიკაში ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღსრულების პროცესში, ვინაიდან ახსნა-განმარტების ეტაპზე, კონკურენციის სააგენტო ანალიზს სწორედ ინფორმაციის მეშვეობით აკეთებს. შესაბამისად ინფორმაციის მიუწოდებლობა ან სრულად არ მიწოდება აჩენს რისკებს იმისა რომ ბაზარზე არსებული დარღვევების მიუხედავად, შესაძლოა სააგენტოს შეუმჩნეველი დარჩეს აღნიშნული დარღვევა. ასევე პრობლემურია ინფორმაციის მიღების კუთხით კონკურენციის სააგენტოსთვის ეკონომიკური აგენტების ადგილზე

⁶⁸ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის განმარტავს კონცენტრაციას

შემოწმების უფლების მიმნიჭებელი დებულებები. რადგან სააგენტოს ადგილზე შემოწმების უფლება წამოეშვება როდესაც, მოკვლევა დაწყებულია განცხადების ან საჩივრის საფუძველზე, იმ შემთხვევაში კი როდესაც მოკვლელვა დაწყებულია კონკურენციის სააგენტოს ინიციატივით ადგილზე შემოწმება არ შეუძლია. საჩივრის/განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის შესაბამისად, პირები კონკურენციის სააგენტოში წარადგენენ მტკიცებულებებს, რომელზე დაყრდნობითაც გამოაქვს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა.

თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც სააგენტო მსგავს მოკვლევას საკუთარი ინიციატივით იწყებს, მოკვლევის დაწყების ეტაპზე შეიძლება საერთოდ არ გააჩნდეს მტკიცებულება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილზე შემოწმება განხორციელდეს სააგენტოს ინიციატივით დაწყებული მოკვლევისას. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ადგილზე შემოწმებას ახორციელებს სასამართლო, რომელიც პირების ინფორმაციას აწვდის შემოწმების განხორციელების შესახებ, რაც თავისთავად სპობს ადგილზე შემოწმების დადებით ეფექტს.

დასკვნა

ქვეყანის ეკონომიკური განვითარებისთვის, თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ბაზრის შესაქმნელად, საჭიროა ქვეყანაში განვითარდეს კონკურენციის სამართალი.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონტიტუციის მე-6 მუხლი. ამიტომ პირველ რიგში სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იზრუნონ რომ შექმნან არადისკრიმინაციული და თავისუფალი გარემო, სადაც ყველა ეკონომიკურ აგენტს ექნება შესაძლებლობა, დისკრიმინაციული ბარიერების გარეშე

განახორციელონ საქმიანობა , ისე რომ არ მოხდეს სახელმწიფო ორგანოების უხეში ჩარევა.

თუ გადავხედავთ საქართველოს ახლანდელ მდგომარეობას და იმ ხარვეზებს რასაც ითვალისწინებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვნახავთ რომ აუცილებელია აღნიშნული დავუახლოვოთ ევროკავშირის ნორმებს და გავიზიაროთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

თუმცა სანამ გავაფორმებდით ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, მანამ ჩვენი საზოგადოება ვერ ხვდებოდა, თუ რა სარგებლის მოტანა შეეძლო კონკურენციის სამართლის განვითარებას ქვეყნის ეკონომიკისთვის.

დღეს მოქმედ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში აღინიშნება რიგი ხარვეზების რომელთა აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები და გამოსწორდეს ის ხარვეზები რომლებსაც ითვალისწინებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. კონკურენციის სამართლის განვითარების შემაფერხებელია, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაწესებული ადმინისტრაციული სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები, რომლებიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას არ აძლევენ სამართლიან და კონკურენტუნარიან პირობებში განახორციელონ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა.

სსიპ-კონკურენციის სააგენტო შექმნილია სწორედ იმისთვის, რომ უზრუნველყოს ბაზარზე სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა და, ისეთ შემთხვაში, თუ გამოვლინდება კონკურენციის შემზღვეველი ქმედებები სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, აკრძალოს მსგავსი სახის კონკურენციის შემაფერხებელი ქმედებები.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოები არ უნდა ქმნიდნენ მონოპოლიურ მდგომარეობას რომელიმე ეკონომიკური აგენტის, და არ აფერხებდნენ კონკურენციული გარემოს ფორმირებას.

ამასთან სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს, სახელმწიფო დახმარებების გაცემისაგან რომელიც ხშირ შემთხვევაში კონკურენციის საწინაღმდეგოა და ემსახურება საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. გამომდინარე აქედან ეს პროცესი მეტად უნდა იქნეს გაკონტროლებული კონკურენციის სააგენტოს მხრიდან, ამიტომაც საჭიროა კონკურენციის სააგენტო აღიჭურვოს მეტი უფლებებით, რაც გულისხმობს არამართო რეკომენდაციების გაცემას არამედ მათთვის შესაბამისი დამსჯელი მექანიზმების გამოყენებას.

თუ მოხდება „კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწა და არსებული ხარვეზების გამოსწორება, ქვეყანას ექნება იმის შესაძლებლობა რომ, განვითარების დონით დაეწიოს წამყვან ქვეყნებს და უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

კანონმდებლობა

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, კონკურენციის სააგენტო <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=62> 21.03.2014 -ის მდგომარეობით.
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე(ვებგვერდი), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> 11.09.2014
3. საქართველოს რესპუბლიკის კონტიტუციურიკანონი-საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამეტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული

პუბლიკაცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> 23.03.2018
მდგომარეობით

4. კონკურენციის სააგენტო დებულება №288,
<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=63>, 14/04/2014

5. საქართველოს კანონი- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997.
კონსოლიდირებული პუბლიკაცია
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101> , 22.12.18

მარეგულირებლის გადაწყვეტილებები

1. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 45, 22.04.2015
2. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება #113, 07.08.2015
3. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება #40, 30.03.2015
4. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 168, 30.09.2016
5. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 245, 28.12.2016
6. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 04/248, 05.09.2017
7. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 04/167, 23.06.2017
8. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 04/273, 06.10.2017
9. საქართველო კონკურენციის სააგენტოს ბრძანება 04/216, 07.08.2018

წიგნები და სტატიები

1. ასანიძე, ნიკა. დომინირებული მდგომარეობის უარყოფითი გავლენა კონკურენციის პოლიტიკაზე, თბილისი 2017
2. გველესიანი ზურაბ კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებებიდან გამონაკლისი, თბილისი 2019

3. მომცელიძე-სოფიო. კონკურენციის სამართლის მოქმედება სახელმწიფო ორგანოს მიმართ, 2019წ;
2. ლაფაჩი ქეთვან და კუტივაძე ნათია - ევროკავშირი საქართველოს ბიზნეს საბჭო-კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, თბილისი 2015
9. მენაბდიშვილი სოლომონ საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან;
6. მენაბდიშვილი-სოლომონ კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდეციები, თბილისი 2016
7. სიახლეები კონკურენციის სამართალში, ბროშურა თბილისი 2014 წ;
8. ჯაფარიძე ლიანა-კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტური აღსრულება 4.ასოცირების შეთანხმების კონტექსტში-მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი 2016;
9. ჯაფარიძე ლიანა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის საფუძვლები, 2019წ;
11. Whish, Richard and Bailey, David, Competition Law, 9 th ed., Oxford University Press, 2018